პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 61 (5162) | ოთხშაბათი, 16 მარტი, 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ბოლშევიკური სალამი ჩრდილოეთ პოლუსის მამაც დამპყრობთ,
სტალინური ეპოქის სახელოვან გმირებს — პაპანინს, შირშოვს,
კრენკელს, ფედოროვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დონის ყაზახებისა და ყაზახი-ქალების — როსტოვის ოლქის მიგულინის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „ზნამია კოლხოზნიკას" კოლმეურნეთა წერილი

## ამხანაგ სტალინს

**ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ!**

ის, რაც ჩვენ გავიგეთ მთელი მშრომელი ხალხის უბოროტეს მტერთა, — „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეთა — ამ ვერაგ მკვლელთა, ჯაშუშთა და პროვოკატორთა ბანდის პროცესის მსვლელობიდან, გვავალებს ჩვენ, დონის ყაზახებსა და ყაზახ-ქალებს, ვთქვათ ჩვენი სიტყვა. ადამიანთ თავიანთი სიცოცხლის მრავალი ათასი წლის მანძილზე არ გაუგონიათ ისეთი გათახსირება, ღალატი და გამცემლობა, როგორიც გამოაშკარავდა ამ საზიზღარ მკვლელთა და პროვოკატორთა ბრბოს — ბუხარინის, რიკოვისა და სხვა არამზადების პროცესზე. ეს შხამიანი გველები სისხლიან სასაკლაოს უმზადებდნენ საბჭოთა ხალხს, ბანდიტური გულცივობით მოჰკლეს მათ ჩვენი ს. მ. კიროვი, ვ. რ. მენჟინსკი, ვ. ვ. კუიბიშევი, დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი და ემზადებოდნენ ავაზაკურად მოეწამლათ ერთერთი საუკეთესო სტალინური სახალხო კომისარი ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი.

ბანდიტები თავიანთ ბინძურ საზიზღარ ხელს პროლეტარული რევოლუციის გენიოსის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წინააღმდეგ აღმართავდნენ და სურდათ გაეგმირათ ჩვენი მძლავრი არწივის, ჩვენი მანათობელის გული, სურდათ გაეგმირეთ შენ, იოსებ ბესარიონის-ძევ.

უდიდესი გულისწყრომის ტალღა აზვირთდა მთელ დონზე, როდესაც გავიგეთ, რომ ფაშიზმის ეს საზიზღარი, უსინიდისო ქოფაკები თავიანთი სისხლიანი მიზნების განსახორციელებლად იმედს ამყარებდნენ ჩვენზე, დონისა და ყუბანის ყაზახებზე, ცდილობდნენ კვლავ გადაექციათ ყაზახობა ბრმა ძალად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და მთელი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, გზავნიდნენ ჩვენთან თავიანთ აგენტებს საზიზღარ სლეპკოვებს, პივოვაროვებს, ლარინებს. მაგრამ სამშობლოს საზიზღარი გამცემლები, ფაშისტი ბანდიტები მოსტყუვდნენ. მათ დაავიწყდათ, რომ დიდი ხანია უკვე აღარ არის ძველი დონი, რომელიც ჯალათის როლს ასრულებდა ჩაგრული ხალხის მიმართ. საბჭოთა ყაზახობა უდიდესი სიმწარითა და სირცხვილით იგონებს თავის წარსულს. იგი არასოდეს არ დაუბრუნდება მას. არასოდეს აღარ იქნება ის, რაც იყო, და რასაც ოცნებობენ ხალხის უბოროტესი მტრები. ჩვენ მზად ვართ უკანასკნელ წვეთამდე შევსწიროთ ჩვენი მხურვალე სისხლი ჩვენს ბედნიერ სამშობლოს, მშრომელი ხალხის ბედნიერებას. მტკიცე კედლად, ურყევ სიმაგრედ აღვიმართებით მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! გამომჟღავნებული კონტრრევოლუციური ხროვა ძლიერ გვიშლიდა ხელს ჩვენი საკოლმეურნეო მეურნეობის მოგვარებისა და განმტკიცების საქმეში. ჩვენს კოლმეურნეობებში კიდევ მოიპოვებიან გამოუმჟღავნებელი მტრის ნაბოლარები, რომლებიც იმალებიან, ფლიდობენ და ყოველი მარჯვე შემთხვევის დროს ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩვენს საკოლმეურნეო შრომითს დისციპლინას, მავნებლობა გასწიონ მუშაობაში, რათა შეარყიონ ჩვენი რწმენა და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი.

მაგრამ საკოლმეურნეო ზღვას კოვზით ვერავინ დააშრობს. ვერავინ გასტეხს ყაზახურ შეუპოვრობას კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში. ვერავინ შეარყევს რწმენას კომუნისტური პარტიისადმი. ჩვენი კოლმეურნეობები მტკიცე და ძლიერია. მარტო ჩვენს რაიონში მხოლოდ ორი მტს-დან ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებში 132 ფოლადის ცხენი გადის, მათ შორის 20 არის მძლავრი „სტალინელი" „ჩტზ", 64 კომბაინი, 130 მძლავრი სატრაქტორო გუთანი, 100-მდე სატრაქტორო სათესი მანქანა და მრავალი სხვა სრულყოფილი მანქანა. გარდა ამისა, კოლმეურნეობებს აქვთ 17 საკუთარი ავტომანქანა. ჩვენ ვანვითარებთ მდიდარ საკოლმეურნეო მეცხოველეობას და ჩვენს რაიონში თვითეულ საკოლმეურნეო ოჯახს ჰყავს ძროხა, ღორები ნამატით, ცხვრები და დიდძალი ფრინველი. 1937 წელს საშუალო საკოლმეურნეო ოჯახმა 200 ფუთზე მეტი პური მიიღო.

მტრებმა სთქვეს პროცესზე — რაც უფრო ცუდი გარემოებაა კოლმეურნეობებში, რაც უფრო ნაკლებია კოლმეურნის შრომადღე, მით უფრო ადვილია ყაზახთა გადაცდენა სწორი საკოლმეურნეო საბჭოთა გზიდან. ჩვენი საკოლმეურნეო მეურნეობა წლითიწლობით მტკიცდება, შეურყევლად იზრდება, იმიტომ, რომ ჩვენ ბოლშევიკურად, სტალინურად მიგვყავს ჩვენი მეურნეობა და ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი სიძნელე, მტრის ვერავითარი ოინი.

იმ ნდობას, რომელიც ჩვენ, დონის ყაზახებს აღმოგვიჩინეთ შენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, და მთელმა კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენ ღირსეულად გავამართლებთ. შენი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და შენი მზრუნველობის მეოხებით განმტკიცდა და საბჭოთა ხელისუფლების ძლიერ ბურჯად გადაიქცა ჩვენი საბჭოთა საკოლმეურნეო დონი.

ყველა ეს რიკოვები, ბუხარინები, იაგოდები და სხვა ცოფიანი ფაშისტური ქოფაკები, განადგურებული იქნებიან. ჩვენ ჩვენს ყაზახურ მტკიცე სიტყვას ვიძლევით, რომ ჩვენი სახელოვანი შინსახკომელების დახმარებით სწრაფად გავუსწორდებით გამოუმჟღავნებელ მტერთა ნაშთებს, გავსწმენდთ მათგან ჩვენს საკოლმეურნეო სტანიცებსა და ხუტორებს.

ჩვენს კოლმეურნულ ყაზახურ სალამს გიძღვნით შენ, ძვირფასო მეგობარო და მასწავლებელო იოსებ ბესარიონის-ძევ, და გთხოვთ გადასცე ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვს ჩვენი მგზნებარე სურვილი, რათა მან შემდეგშიც ულმობელად გაანადგუროს ხალხის უბოროტესი მტრები.

**როსტოვის ოლქის მიგულინის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „ზნამია კოლხოზნიკას" კოლმეურნე ყაზახები და ყაზახი-ქალები:**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი—ორდენოსანი ფ. მ. სკილკოვი, პ. ი. უდოვკინი, მ. ა. ნასონოვა, დ. ა. ნაზაროვა, ა. ა. პოპოვა, ა. ე. ზემლიაკოვა, ა. ს. სამოხვალოვა, დ. ი. ნეპოლოვა, ფ. ა. ზემლიაკოვი. ს. ი. სტეპუნიაევი, ი. პ. ბაბკინი, ე. ფ. სკილკოვა, პ. ვ. შურუპოვა, ქ. ა. ბოჩაროვი, ი. დ. დემინი, ა. ე. გლადკოვი, ა. მ. კუზნეცოვი, ვ. ი. დიაკონოვა, ვ. ა. კოვალევა და სხვ.**
(ხელს აწერს 157 კაცი).

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ.

მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში და ამ საქმეში გამოვლინებული გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭოს:

1. პოლკოვნიკ ალექსანდრე სერგეის-ძე **სენატოროვს.**
2. მაიორ ივანე ივანეს-ძე **დუშკინს.**
3. მაიორ ვლადიმერ ილარიონის-ძე **შევჩენკოს.**
4. ლეიტენანტ სერგეი იაკობის-ძე **ლაპუტინს.**
5. უმცროს მეთაურს ვლადიმერ თევდორეს-ძე **კრუჩინინს.**
6. უმცროს მეთაურს პავლე ათანასეს-ძე **სემიონოვს.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. კალინინი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი
1938 წ. 14 მარტი.

## „ტრუვორის" შეხვედრა „ერმაკთან"

**„ტრუვორი", 15 მარტი (საკდესის რადიო. სპეცკორისაგან)**

შუაღამეა... ძილი არავის არ ეკარება... მალე პაპანინელებს ვნახავთ! ჰორიზონტზე, ორ მოციმციმე შუქურას შორის, უეცრად გამოჩნდა სუსტი სინათლე. „ერმაკის" პროჟექტორი! ცა მისასალმებელი შუშხუნების კაშკაშა ჩირაღდნებმა გაანათეს.

მალე თვალუწვდენელ ყინულოვან ველზე, რომელიც გრანდიოზულ სასრიალოს მოგაგონებთ, გამოისახა მთვარით გასხივოსნებული სილუეტი „ერმაკისა". ყინულმჭრელს მოჰყვებოდა მინიატურული „მურმანეცი", რომელმაც გმირულად გაიკვლია გზა გრენლანდიის ზღვის ყინულებსა და ქარიშხალში. ყინულს შუშხუნების წითელი, მწვანე ნაპერწკლები ეფრქვეოდა, „ტრუვორიდან" განუწყვეტლივ გრგვინავდა „ვაშა" პაპანინელთა პატივსაცემად, შეხვედრა მოხდა შეპელევსკის შუქურას ტრავერსზე დილის სამ საათზე...



მარცხნიდან-მარჯვნივ: ი. პაპანინი, პ. შირშოვი, ე. ფედოროვი და ე. კრენკელი.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

## გმირი-პაპანინელები ლენინგრადში

### მიტინგი ნავსადგურში

**ლენინგრადი,** 15 მარტი (საკდესი). ლენინგრადის მშრომელნი მღელვარე სიხარულით ელოდნენ გმირ - პაპანინელთა დაბრუნებას მშობლიურ საბჭოთა მიწა-წყალზე. დღევანდელ დღემდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ქუჩები და მოედნები, სანაპიროები და ხიდები, ისე როგორც დიდი საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დროს, მოირთო პლაკატებით, ლოზუნგებით, ალისფერი დროშებით, ჩრდილოეთის პოლუსის სახელოვან დამპყრობთა პორტრეტებით.

დღის სამი საათისათვის ნავსადგურთან იწყეს თავმოყრა მუშათა და მოსამსახურეთა, წითელი არმიის ნაწილთა, წითელფლოტელთა, სტუდენტთა, მოწაფეთა მრავალრიცხოვანმა დელეგაციებმა.

ნავსადგურის შესავალთან აღმართულია საბჭოთა ხალხის გმირულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელის ამხანაგ სტალინის უზარმაზარი პორტრეტი, გვერდით კი — მისი უახლოესი თანამებრძოლის, ლენინგრადელი ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. ჟდანოვის პორტრეტი.

ნავსადგურის გუტუევის გემთსადგომში არაჩვეულებრივი გაცხოველებაა. ათასობით მშრომელნი შეკრებილან გრანიტის სანაპიროზე. ზღვახალხის თავზე აღმართულია პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, პაპანინის, კრენკელის, შირშოვის, ფედოროვის პორტრეტები, მისასალმებელი ლოზუნგების წითელი ტილოები.

16 საათსა და 20 წუთზე მისადგომთან ყინულმჭრელიდან ბაგირები ჩამოუშვეს. გრგვინავენ ორკესტრები. ისევ და ისევ გაისმის მხურვალე მილოცვები და მისალმებანი. ცაში გამოჩნდება სწრაფმავალ თვითმფრინავთა ესკადრილია.

...ნაპირზე ჩამოშვებულია გემის საპარადო კიბე. ორკესტრების გრიალში, მქუხარე ოვაციებსა და „ვაშას" ძახილში ივანე დიმიტრის-ძე პაპანინი პირველი აბიჯებს ფეხს მშობლიურ მიწაზე. მათ მოჰყვებიან ერნსტ თევდორეს-ძე კრენკელი, პეტრე პეტრეს-ძე შირშოვი, ევგენი კონსტანტინეს-ძე ფედოროვი. ასეთი შეხვედრით ისინი შესამჩნევად აღელვებული და გულაძგერებული არიან.

— აი ბოლოს, საბჭოთა მიწა! შესძახებს პაპანინი.

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კუზნეცოვი და ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკი ეხვევიან არქტიკის სახელოვან გმირებს, გულითადად ულოცავენ სტალინური დავალების წარმატებით შესრულებას, სამშობლოში დაბრუნებას.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში ტრიბუნაზე ადიან პაპანინი, კრენკელი, შირშოვი, ფედოროვი, შმიდტი, კუზნეცოვი, პეტროვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — აკადემიკოსი ბაიკოვი, ბოგდანოვი, სმეტანინი, სმირნოვა, ალექსი ტოლსტოი და სხვ.

ამხ. პეტროვსკი საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების სახელით, ლენინგრადის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისა და ლენინგრადის საბჭოს სახელით, ლენინის ქალაქის ყველა მშრომელთა სახელით მიესალმება ჩრდილოეთის პოლუსის მამაც დამპყრობთ.

— ლენინის ქალაქის მშრომელები ამაყნი და ბედნიერნი არიან იმით, რომ მშობლიურ საბჭოთა მიწაწყალზე პირველნი ეგებებიან გმირპაპანინელებს, რომელთა მსოფლიოისტორიული გამარჯვებებით და საგმირო საქმეებით ახლა ამაყობს და აღტაცებულია მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესიული კაცობრიობა, — ამბობს ამხ. პეტროვსკი.

— ლენინგრადის მშრომელებს ერთი წუთითაც კი არ შესდიოდათ ეჭვი იმაში, რომ ეს დავალება შესრულებული იქნებოდა, ვინაიდან თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო პაპანინ, კრენკელ, შირშოვ და ფედოროვ, ხართ ერთგული შვილები გმირი საბჭოთა ხალხისა, რომლის სიტყვა არასოდეს არ შორდება საქმეს. ეს თვისება საბჭოთა ადამიანებმა შეიძინეს ჩვენი ბოლშევიკური პარტიისაგან, დიდი სტალინისაგან, რომლისთვისაც არ არსებობს სხვა საქმეები და სხვა ფიქრები, გარდა მზრუნველობისა ხალხზე, მის კეთილდღეობაზე, მის ბედნიერებაზე.

ამხ. პეტროვსკი გმირ - პაპანინელების შეხვედრისადმი მიძღვნილ მიტინგს გახსნილად აცხადებს. მხურვალე სიტყვებით გამოდიან ამხანაგები ი. დ. პაპანინი, ე. თ. კრენკელი, პ. პ. შირშოვი, ე. კ. ფედოროვი.

ხურავს რა მიტინგს, ამხ. პეტროვსკი, პაპანინელებს ერთხელ კიდევ გადასცემს სალამს ლენინგრადელი ბოლშევიკების ხელმძღვანელისაგან ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვისაგან.

მიტინგი დამთავრებულია. პაპანინელები შესახვედრად მისულთა მჭიდრო რკალით გარშემორტყმულნი, მანქანებისაკენ მიდიან. მათ ყვავილებს ესვრიან. ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკის" სტახანოველები მათ მიართმევენ თვალწარმტაც საუცხოო თაიგულებს, უნაზესი რეზინისაგან ნაკეთებ ლამაზ ცხვირსახოცებს, რომლებზედაც ასახულია მოდრეიფე ყინულის მარშრუტი.

ცოცხალი ყვავილებით მორთული ავტომობილები ერთიმეორეზე გადიან სავაჭრო ნავსადგურის ჭიშკრებიდან. გმირების მისამართით გაისმის მქუხარე „ვაშა". ასეული ათასობით ლენინგრადელებს აუვსიათ პროსპექტები, რომლებითაც ნელა მიემართებიან მანქანები.

აივნებიდან და ფანჯრებიდან წვიმასავით მოდის ფერადფერადი ფურცლები მილოცვებითა და მისალმებებით.

... ქალაქში სადღესასწაულო ხმაური დიდხანს არ სცხრება.

## სალამი სამშობლოვ!

სალამი, ჩვენო ძლიერო მამულო!

ჩვენ აღსავსენი ვართ ღრმა მადლობის გრძნობით ჩვენი დიადი ხალხისადმი, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ბელადისა და მეგობრისადმი — ამხანაგ სტალინისადმი. ჩვენ მათ უდიდესი ნდობა გამოგვიცხადეს, როცა საექსპედიციოდ მოდრეიფე ყინულზე გაგვგზავნეს. ჩვენ წილად გვხვდა დიდი პატივი — მსოფლიოს ისტორიაში პირველად გამოგვეკვლია დედამიწის უდაბური ადგილები, სადაც ადამიანი ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა. ვაწარმოებდით რა მრავალრიცხოვან დაკვირვებებს გამოუკვლეველ მხარეში, ჩვენ ყოველ წუთს ვგრძნობდით, რომ ჩვენ თვალყურს გვადევნებს მთელი ჩვენი ძლიერი სამშობლო, და ეს გვმატებდა ჩვენ დაუშრეტელ ენერგიას, გვაფრთოვანებდა სუსხიან სტიქიასთან საბრძოლველად. ჩვენთვის საშიში არ იყო ჩრდილოეთის პოლუსის ყინვა და ქარბუქი, ჩვენ გვათბობდა მშობლიური ქვეყნის სიყვარული და მზრუნველობა, ჩვენი მამის, მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სიყვარული და მზრუნველობა.

სალამი დიადო სამშობლოვ! გაცისკროვნებულ გზისმანათობელ ვარსკვლავად გვიბრწყინავდი ჩვენ, მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის" მოზამთრეებს, ჩვენი არაჩვეულებრივი მოგზაურობის დროს. ჩვენ განუყრელად ვიყავით შენთან დაკავშირებულნი, ჩვენო საუცხოო საბჭოთა ქვეყანავ. ჩვენი გული მთელი ხალხის გულთან შეხმატკბილებულად სძგერდა.

მაშ ასე, ჩვენ ვართ ლენინგრადში — საბჭოთა ნაპირზე, შინ, ლენინის ქალაქთან, საბჭოთა ხალხთან მხურვალე შეხვედრით გულაღელვებულნი, ჩვენ აღგზნებული ვართ სურვილით შევწიროთ მთელი ჩვენი ძალღონე, ხოლო თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც, ჩვენი სამშობლოს სადიდებლად, დიდი სტალინის სადიდებლად.

**პაპანინი, შირშოვი, კრენკელი, ფედოროვი.**

**ლენინგრადი,** 15 მარტი.

## 17 მარტს პაპანინელები ჩამოდიან მოსკოვში

**მოსკოვი,** 15 მარტი (საკდესი). ამხანაგები პაპანინი, კრენკელი, შირშოვი და ფედოროვი 17 მარტს 16 საათზე ჩამოდიან მოსკოვში. შეხვედრა მოხდება ლენინგრადის ვაგზალზე.

## სალამი მამაც გმირებს!

მთელ ჩვენს ქვეყანას მოეფინა უსაზღვრო სიხარულისა და აღფრთოვანების მომგვრელი ცნობა: გმირ პაპანინელთა სახელოვანი ოთხეული 15 მარტს ყინულმჭრელ „ერმაკით" ლენინგრადში ჩამოვიდა; ჩვენმა დიადმა სამშობლომ გულში ჩაიკრა თავისი ღირსეული შვილები, ჩრდილოეთის პოლუსის უშიშარი დამპყრობნი — პაპანინი, კრენკელი, შირშოვი, ფედოროვი.

ლენინ - სტალინის უძლეველი პარტიის მიერ აღზრდილმა ოთხმა მამაცმა გმირმა ბუნების მკაცრ სტიქიასთან თავგანწირულ ბრძოლაში, ცივი პოლარული ღამის წყვდიადში, ქარბუქსა, ნისლსა და საშინელ გრიგალში წარმატებით შეასრულა თავისი პარტიისა და მთავრობის უძნელესი და საპატიო დავალება, — დაამარცხა მკაცრი არქტიკა, რითაც გმირობისა და სიმამაცის ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა კაცობრიობის ისტორიაში.

ოთხი სახელოვანი გმირი 274 დღის განმავლობაში ებრძოდა არქტიკის მძვინვარე სტიქიას, სძლევდა უდიდეს სიძნელეებს და იკვლევდა კაცობრიობისათვის დღემდე უცნობ ჩრდილო პოლუსის საიდუმლოებას. ბუნებასთან ამ ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლაში პაპანინელთა სახელოვანმა ოთხეულმა გამოამჟღავნა უმაგალითო ენერგია, რკინის ნებისყოფა, სიმტკიცე და შეუპოვრობა.

შეურყეველ რწმენას, გასაოცარ ვაჟკაცობას, სიმშვიდეს და ენტუზიაზმს გმირული ოთხეული ჰპოვებდა ლენინ-სტალინის პარტიისა და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულში, თავისი სამშობლოს უსაზღვრო ძლიერებაში. გმირები მამაცურად ებრძოდნენ სტიქიას და არ ჰკარგავდნენ მხნეობას უაღრესად კრიტიკულ მომენტებშიც კი, რადგან მტკიცედ სწამდათ, რომ მათ ზურგს უკან სდგას უდიდესი ძალა, ძლიერება, და ამ ურყევი რწმენით მათ გაიმარჯვეს.

პაპანინელთა გამარჯვება მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვებაა, მათი მშვიდობიანად დაბრუნება სამშობლოში — საყოველთაოსახალხო ზეიმია.

ჩრდილო პოლუსის დაპყრობის დაუვიწყარი ეპოპეა, რომელსაც სიყვარულითა და მღელვარებით ყურს უგდებდა, დიდი საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა, ბრწყინვალედ დასრულდა. ამ ეპოპეამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ რისი უნარი შესწევთ თავისუფალი შრომის, შემოქმედებისა და გმირობის დიადი ქვეყნის შვილებს, სტალინური ეპოქის ადამიანებს.

დაე იცოდნენ ომის ფაშისტმა გამჩაღებლებმა და მათმა საზიზღარმა აგენტებმა, რომ უძლეველია ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ასეთი გმირები და თუ ისინი გაბედავენ ოდესმე თავს დაესხან სოციალიზმის სამშობლოს — სსრ კავშირს, საბჭოთა ქვეყნის მრავალმილიონიანი მშრომელნი გადაიქცევიან ისეთივე უშიშარ გმირებად, როგორიც არიან სახელოვანი პაპანინელები.

განვლენ საუკუნენი, მაგრამ გმირ პაპანინელთა ლეგენდარულ ამბავს მუდამ შეინახავს კაცობრიობის მეხსიერება. მათს მაგალითზე ისწავლიან და აღიზრდებიან სოციალიზმის ქვეყნის მრავალი ახალი თაობანი.

„თავისი გმირობით ისინი აღაფრთოვანებენ მილიონობით საბჭოთა მოქალაქეებს, შრომისა და მეცნიერების ადამიანებს ახალი საწარმოო გამარჯვებებისათვის, ახალი სოციალისტური შემოქმედებისათვის" („პრავდა").

სალამი მამაც საბჭოთა პოლარელებს, მკაცრი ჩრდილოეთის უშიშარ დამპყრობთ: პაპანინს, კრენკელს, შირშოვს, ფედოროვს!

დიდება ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას, რომელიც ზრდის ასეთ გმირებს!

**გ. ქუჩიშვილი**

## ჩრდილოელ მეზამთრეებს

1.

ვით მოდრეიფე
ყინულმთის შეხლა
არქტიკის ზღვათა
ტიტანურ გემთან,
ისეთ სიმედგრით
გრიალებს ქვეყნად
გმირობა
მკვლევარ პაპანინელთა!

მათ სიტყვა მისცეს
ბუმბერაზ სტალინს
დაემორჩილნათ
პოლუსის სივრცე
და მოიხადეს
ნაკისრი ვალი
ბოლშევიკურად,
პირნათლად,
მტკიცედ!

2.

აჰა, შეხედეთ!
რა თვალები აქვთ
გამარჯვებათა
დიდ მოციქულებს!..
ვაშა მათ! —
თურმე რა შესძლებიათ
ბელადის სიბრძნით
შთაგონებულებს!..

3.

გმირებო!
თქვენი გამბედაობა
აღაფრთოვანებს
დიდს თუ პატარას
და იქ, პოლარულ
თეთრ უძრაობას,
არარაობას
კაცთა შემზარავს,
ჩვენი სამშობლო
გმირთგმირი ხალხი
მოჰფენს სიცოცხლეს,
სრულყოფილს,
მარადს,
და თქვენს დიდ სახელს,
თქვენს დროშა-კარავს,
გადუხდის დიადს
ბრწყინვალე პარადს!..

# მუშურ-გლეხური წითელი-არმიის მეთაურების, პოლიტმუშაკების, უმცროს მეთაურების და წითელ-არმიელთა დაჯილდოება

მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთების, ნაწილების და განაყოფების სამხედრო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია 213 მეთაური, პოლიტმუშაკი, უმცროსი მეთაური და წითელარმიელი.

**ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია პოლკოვნიკი დ. პ. სალავიოვი და კაპიტანი კ. ნ. დერევიანკო.

**წითელი დროშის ორდენით** დაჯილდოებულია პოლკოვნიკი პ. ფ. ჟიგარევი, ათასეულის კომისარი მ. ა. ტარიგინი, კაპიტანი ვ. ა. მუზიუკინი, კაპიტანი ვ. ი. კლეპცოვი, უფროსი ლეიტენანტი ფ. ი. დობიში, უფროსი ლეიტენანტი ვ. ფ. ნიუხტირინი, უფროსი ლეიტენანტი ვ. ე. ბობლოვსკი, უფრ. ლეიტენანტი ვ. მ. ბოგდანი, უფროსი ლეიტენანტი ს. მ. დენისოვი და სხვები — სულ 41 კაცი.

**წითელი ვარსკვლავის ორდენით** დაჯილდოებულია პოლკოვნიკი ი. ფ. კუცი, პირველი რანგის სამხედრო ინჟინერი ო. ი. დიმიტრიევი, მეორე რანგის სამხედრო ინჟინერი ს. ა. აფონინი, მაიორი ა. გ. მახალკინი, მაიორი პ. ს. ვინოგრადოვი, კაპიტანი, პ. გ. პეტროვი, კაპიტანი ს. ნ. ბაზჩინი, კაპიტანი ი. ფ. ბუგაევი, კაპიტანი ი. ნ. სოკოლოვი, კაპიტანი ნ. ნ. იშჩენკო, და სხვები — სულ 87 კაცი.

**საპატიო ნიშნის ორდენით** დაჯილდოებულია კაპიტანი პ. ს. სემენიშევი, მეორე რანგის სამხედრო ინჟინერი ფ. მ. შიშკინი, მესამე რანგის სამხედრო ინჟინერი ლ. პ. სოკოლოვი, უფროსი ლეიტენანტი პ. დ. შჩერბაკოვი, პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოსი ი. ვ. დვორიაშინი, პირველი რანგის სამხედრო ტექნიკოსი ი. პ. ბარანოვი, პირველი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი ვ. პ. მასლენიკოვი, მეორე რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი ს. ზ. კრივოროტენკო, მეორე რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი ლ. ნ. ივანიკოვი, ლეიტენანტი კ. ტ. კაპშუკი და სხვები — სულ 83 კაცი.

# მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცემენტის მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი

## ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის გამოსვლა

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში 4-დან 8 მარტამდე ტარდებოდა ცემენტის მრეწველობის მუშაკთა პირველი თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 125 კაცი—დირექტორები, მთავარი ინჟინრები, საამქროს უფროსები, სტახანოველები და ცემენტის ქარხნების პარტიული და პროფკავშირული მუშაკები. თათბირი ტარდებოდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ზ. გინსბურგი, რომელიც გამოვიდა თათბირის დასაწყისში, შეჩერდა ცემენტის მრეწველობის ძირითად საკითხებზე, რომლებიც უნდა განეხილათ თათბირის მონაწილეთ.

კამათში გამოვიდა 46 კაცი. ქარხნების დირექტორები, მთავარი ინჟინრები, საამქროს უფროსები, სტახანოველები და სხვ.

8 მარტის უკანასკნელ სხდომაზე დიდი სიტყვით გამოვიდა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩი, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ თათბირის მონაწილენი. თათბირამდე მან ინახულა ვოსკრესენსკის ცემენტის ორი ქარხანა „გიგანტი“ და „კრასნი სტროიტელი“, ადგილობრივ გაეცნო მათს მუშაობას და ნაკლოვანებებს, უშუალოდ წარმოებაში ესაუბრა სხვადასხვა კვალიფიკაციის მთელ რიგ მუშებს.

თავის სიტყვაში სახალხო კომისარმა დაწვრილებითი კრიტიკული ანალიზი გაუკეთა ცემენტის მრეწველობის მუშაობას, დასახა ღონისძიებანი ინდუსტრიის ამ მნიშვნელოვანი დარგის მაღალ საფეხურზე აყვანისათვის და განსაზღვრა ის ამოცანები, რომლებიც დგას ცემენტის ქარხნის სტახანოველების, ინჟინრების, ტექნიკოსების, სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკების წინაშე.

სიტყვაში აღნიშნული იყო ცემენტის მრეწველობის წარმატებები წარსულში. საბჭოთა ცემენტით აგებულია მშვენიერი წარმოებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სიამაყესა და სილამაზეს წარმოადგენენ. ეს უეჭველი დამსახურებაა ცემენტის მრეწველობის მუშაკებისა. მაგრამ მეცემენტეები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ჩვენს ქვეყანაში სწრაფად ვითარდება სამრეწველო, საბინაო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობა. მეცემენტეებმა მთლიანად უნდა დააკმაყოფილონ ამ მშენებლობის საჭიროება. მეცემენტეების მუშაობას თავდაცვითი მნიშვნელობაც აქვს. მათ ისეთი ცემენტი უნდა მოგვცენ, რომ ვერავითარმა ფაშისტურმა არამზადებმა ვერ შესძლონ დაანგრიონ ჩვენი ბეტონური ნაგებობანი თავის ყუმბარებით.

ამხანაგი კაგანოვიჩი შეჩერდა საცემენტო მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე, ცემენტის ქარხნების უფრო სწორ გეოგრაფიულ განლაგებაზე. თვითეულ ოლქს თავისი საკუთარი ცემენტის ქარხანა უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ მოქმედების პატარა სარბიელი როდი იხსნება ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ცემენტის ქარხნების აგებას მეტალურგიულ წარმოებებთან იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ბრძმედების საამქროთა წიდა.

დასასრულ ამხანაგმა კაგანოვიჩმა მოუწოდა ცემენტის მრეწველობის მუშაკებს, უახლოეს დროში ჩადგნენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, სახელოვანი მძიმე ინდუსტრიის გამარჯვებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში, იმ ინდუსტრიისა, რომელიც შექმნილია, გამოწვრთნილია და განმტკიცებულია ჩვენი საყვარელი მასწავლებლისა და მეგობრის, მთელი კაცობრიობის ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ.

◆

თათბირმა მიიღო მიმართვა ცემენტის მრეწველობის ყველა მუშაკისადმი 1938 წლის გეგმის შესრულებისა და გარდამეტებით შესრულების შესახებ.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში თათბირმა ერთსულოვნად მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

# საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ უმაღლესი სასამართლოს განაჩენს

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მე-2 კორპუსის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. კ. ნონიკოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ბანდიტთა საქმეზე.

ფოტო გილგენდორფისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

## გარეწრებს დამსახურებული სასჯელი მიეზღოთ

(სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა წერილიდან)

ჩვენ, საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ინსტიტუტის მთელ კოლექტივთან ერთად მივესალმებით და ვიწონებთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენს ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილე არამზადების დახვრეტის შესახებ.

ეს განაჩენი მთელი პროგრესული კაცობრიობის ერთსულოვანი განაჩენია, მთელი საბჭოეთის ერთიანი ნებისყოფის მტკიცე გამოხატულებაა, ხალხის რისხვის ქარიშხალია, რომელიც თავს დაატყდა საერთაშორისო ფაშიზმის ცოფიან ქოფაკებს.

ხალხმა გაანადგურა და მოსპო ადამიანის სამოსელში გახვეული მხეცები, რომლებიც თავისი მყრალი სუნთქვით სწამლავდნენ სოციალიზმის ქვეყნის ჰაერს.

ჩვენ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები, განაჩენის გამო უაღრესი კმაყოფილების გრძნობით აღფრთოვანებულნი, კიდევ უფრო მეტად ვიბრძოლებთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ფრონტზე, გამოვასწორებთ ყველა იმ ნაკლოვანებას, რაც სხვა მავნებლებთან ერთად მოგვაყენა ანტისაბჭოთა მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბანდამ და კერძოდ მიწათმოქმედების ყოფილმა სახკომისარმა, გარეწარმა ჩერნოვმა.

ვიძლევით ბოლშევიკურ სიტყვას — კიდევ უფრო გავამახვილოთ შემტევი რევოლუციური სიფხიზლე და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად მტკიცედ შევმჭიდროვდეთ ლენინ-სტალინის პარტიისა და მისი გენერალური შტაბის — სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური რევოლუციის გენიალური მესაჭე დიდი სტალინი, ვისაც ჩვენი ქვეყანა შეუდრეკლად მიჰყავს წინ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა დაზვერვას და მის სტალინურ სახკომს ამხ. ეჟოვს!

გაუმარჯოს სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს ღვიძლ მამასა და ბრძენ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

**პროფესორები:** კ. მოდებაძე, მოსე გოგიბერიძე, ნ. კეცხოველი, ტ. კვარაცხელია, ვ. ღვალაძე, კ. ბაქრაძე, გ. მურუსიძე, ნ. ხომიზურაშვილი, კ. ამირაჯიბი, ს. ჩოლოყაშვილი.

**დოცენტები:** ნ. გელაშვილი, პ. კაჭარავა, შ. მეგრელიძე, გ. ჯაფარიძე, ს. დურმიშიძე, გ. ფხაკაძე, გ. მეგრელიშვილი, არ. მენაღრიშვილი.

**ასისტენტები და ასპირანტები:** ნინო ბერია, ვ. ივანოვი, თ. ვეკუა, გ. ტალახაძე, ა. ლაშხი, ქ. კიზირია.

## ბანდიტთა ხროვა განადგურებულია

თბილისის მოლოტოვის სახელობის საავეჯო ქარხნის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები დიდი კმაყოფილებით და განუსაზღვრელი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს ხალხის უბოროტესი მტრების — პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების — ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას, კრესტინსკის, როზენგოლცისა და სხვების დახვრეტის შესახებ.

მიტინგზე სიტყვებით გამოსული ამხანაგები ს. ასაკოვი, გ. ცხომელიძე, მიხ. კრიჟანოვსკი, ს. კინწურაშვილი, ა. კვინიკაძე, ა. მურადოვი და სხვები ზიზღით ახსენებენ სამშობლოს გამყიდველებსა და მოღალატეებს. სტახანოველი მუშა ამხ. ა. მურადოვი აცხადებს: „გულითადი მადლობა სოციალისტურ სასამართლოს, რომელმაც 170-მილიონიანი ხალხის ნება-სურვილი შეასრულა და მიწის პირისაგან აღგავა სამშობლოს გამყიდველები — ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა და მათი ბინძური ბანდა“.

სიტყვებით გამოსული სხვა ამხანაგებიც ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ ხალხის ამ საზიზღარი მტრების პასუხად უფრო მეტად გააძლიერებენ მუშაობას საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე შესასრულებლად, დაეუფლებიან ბოლშევიზმს და აამაღლებენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს.

დასასრულ, მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, სადაც დამსწრენი ერთხმად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს ფაშიზმის აგენტთა დახვრეტის შესახებ.

## სასამართლოს განაჩენი — ჩვენი განაჩენია

**სოხუმი, 15 მარტი** (ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.). აფხაზეთის მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა საქმეზე. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, ყველგან სოფლად და ქალაქად ტარდება მშრომელთა მიტინგები, რომლებზედაც გამოსთქვამენ უზომო სიხარულს სამართლიანი განაჩენის გამო.

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა ამხ. ა. ადამიამ და ვ. გორმიჩენკომ განაცხადეს: უმაღლესი სასამართლოს განაჩენი — ეს ხალხის განაჩენია. ამით ხალხის ნება-სურვილი შესრულებულია. ფაშიზმის შხამიანი გველები გასრესილნი არიან. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ.

საკანდიტრო ფაბრიკის მუშამ პ. სტურუამ მიტინგზე აღნიშნა: უმაღლესმა სასამართლომ მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი შეასრულა, როცა დახვრეტა მიუსაჯა ფაშისტ-დივერსანტებს რიკოვს, ბუხარინს, იაგოდას და სხვა ბანდიტებს. სხვანაირი განაჩენი შეუძლებელი იყო გაცოფებული ძაღლების მიმართ.

მიტინგები ჩატარდა აგრეთვე ნავსადგურში, პურის ქარხანაში, საკონსერვო, ტყავის, საკანდიტრო ფაბრიკებში, სხვა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

ყველა მიტინგზე სოხუმის მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ უმაღლესი სასამართლოს სამართლიან განაჩენს.

## ამას მოითხოვდნენ მასები

გუშინ, დღის 1 საათზე, შესვენების დროს შესდგა თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელსაც 400 კაცი დაესწრო.

მიტინგზე სიტყვით გამოსული სტახანოველი მუშა ამხ. ს. მეტრეველი ამბობს: უდიდეს აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევდა სამშობლოს გამყიდველების, ქოფაკი ტროცკის ლაქიების, გამხეცებული ფაშიზმის დაქირავებული აგენტების — ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას და მათი მსგავსი არამზადების ჩვენება. მე ჩემს გულში გამოვიტანე განაჩენი — „სიკვდილი მათ“. ამასვე მოითხოვდა მთელი საბჭოთა 170-მილიონიანი პატიოსანი მშრომელი ხალხი. დღეს, როდესაც ვკითხულობთ უმაღლესი სასამართლოს მიერ ხალხის მტრების მიმართ გამოტანილ განაჩენს, ვგრძნობთ, რომ იგი მთლიანად დაემთხვა ხალხის მოთხოვნას.

ჩვენი ამოცანაა საბჭოთა დაზვერვის ორგანოების მიერ უკვე მხილებული და ლიკვიდირებული მტრების დამანგრეველი საქმიანობის პასუხად კიდევ უფრო ავამაღლოთ შემტევი რევოლუციური სიფხიზლე, კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები: ა. ოვიანი, ნ. კამარაული, ი. გრიგორიევა, ლ. ტკაჩენკო, ი. იზიუმსკი, გ. სამველიანი, შ. პოპოვი, ვ. ჩიჟოვი, მ. ოგანეზოვი, მ. მელქონიანი და სხვ., იწონებდნენ რა საბჭოთა მართლმსაჯულების მიერ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთათვის გამოტანილ განაჩენს, ერთხმად მოითხოვდნენ საქართველოში მომქმედ მათ დამქაშთა აგრეთვე განადგურებას.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენი — ეს არის მთელი ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ხალხის განაჩენი, რომელიც მოგვიწოდებს შემდგომი ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა დაზვერვის ორგანოებს, რომელნიც ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს ბედნიერი ცხოვრების სადარაჯოზე, და მათს რკინისებურ ხელმძღვანელს ამხანაგ ეჟოვს.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას და მის მესაჭეს ამხანაგ **სტალინს**“.

## უმაღლეს სასამართლოს ხალხი მადლობას უცხადებს

### ჭიათურა

ჭიათურის მარგანეცის წარმოების — ლენინის, სტალინის, კაგანოვიჩის, ბერიას, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის და დიმიტროვის ქარხანა - მაღაროებში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგები, რასაც 6000 კაცი დაესწრო.

სიტყვით გამოსული სტახანოველი მუშები: მაკარ ბრეგვაძე, ბიქტორ თაბაგარი, ინჟინრები: შალვა მეცხოვრიშვილი, მიშა რუხაძე, ბორის აკიმენკო და სხვ. ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენს ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდის განადგურების შესახებ.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ ჭიათურის მარგანეცის წარმოების მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი კიდევ უფრო დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, ენერგიულ ბრძოლას გავაჩაღებთ მარგანეცის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის“.

### სიღნაღი

სიღნაღის რაიონის ყველა წარმოება - დაწესებულებასა და კოლმეურნეობაში მოეწყო მრავალ რიცხოვანი სახელდახელო მიტინგები.

შირაქის ნავთის წარმოებაში მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა მუშამ თამაზაშვილმა განაცხადა: სასამართლოს განაჩენი სავსებით სწორია. გვიხარია, რომ ხალხის მტრები განადგურებული არიან.

ასევე მოიწონეს უმაღლესი სასამართლოს განაჩენი სიტყვით გამოსულმა სხვა ამხანაგებმაც და საწარმოო გეგმების შესასრულებლად ახალი ვალდებულებები აიღეს. მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციაში მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან უმაღლესი სასამართლოს განაჩენს.

### მახარაძე

14 მარტს მახარაძის ჩაისაღებ და სავრეხ ფაბრიკებში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც 1200 კაცი ესწრებოდა. მიტინგი გაეცნო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენს ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე. მიტინგის ყველა მონაწილენი იწონებდნენ განაჩენს ბანდიტთა და მკვლელთა უმაღლესი სასჯელით დასჯის შესახებ. სიტყვით გამოსული მუშა-ქალი პოლია სოკორსკაია აღნიშნავდა, რომ სასამართლოს განაჩენი, ეს მთელი საბჭოთა ხალხის განაჩენია.

— ჩვენი მოთხოვნა შესრულებულია. დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ სასამართლოს განაჩენის გამო, — განაცხადა სტახანოველმა მუშამ ვალიკო სირაძემ.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მუდამ ერთგული ვიქნებით ლენინ-სტალინის პარტიისა, რკინის კედლივით შემოვერტყმით საყვარელ საბჭოთა კავშირს, რათა დავიცვათ სოციალისტური სამშობლო პირსისხლიანი ფაშიზმის შემოტევისაგან.

# სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა

ა. წ. 9 მარტს, ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მოისმინა წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრის ამხ. პახომოვის საანგარიშო მოხსენება **წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ** და საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზემლიაჩკას თანამოხსენება.

მიუხედავად წყლის ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა ზრდისა და იმ უდიდესი დახმარებისა, რომელსაც მას მთავრობა და პარტია უწევენ, წყლის ტრანსპორტი, 1936 წლიდან დაწყებული, ვერ ასრულებს ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმას.

სამდინარო ტრანსპორტმა 1936 წლის განმავლობაში ტვირთზიდვის გეგმა ტონა-კილომეტრობით მხოლოდ 72,6 პროცენტით შეასრულა, 1937 წელს—74,9 პროცენტით, საზღვაო ტრანსპორტმა გეგმა ტონამილობით 1936 წელს 91,3 პროცენტით შეასრულა, 1937 წელს კი—მხოლოდ 77,8 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებელმა ტექნიკურმა მეთვალყურეობამ როგორც სახალხო კომისარიატის, ისე სანაოსნოთა მხრივ, გემების ცუდმა ყოველდღიურმა მოვლამ, ფლოტის გაცვეთამდე ექსპლოატაციის დანაშაულობრივმა პრაქტიკამ, რაც წყალთა ტრანსპორტში არსებობს,— გამოიწვიეს ფლოტის ტექნიკური მდგომარეობის მეტის-მეტი გაუარესება.—ამას დიდად უწყობს ხელს აგრეთვე საგზაო მეურნეობის ცუდი მდგომარეობა, ფსკერგაღრმავების სამუშაოთა დაუშვებელი მივიწყება.

წყალთა ტრანსპორტზე არ არის ჯეროვანი შრომითი დისციპლინა. წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა და სანაოსნოთა ხელმძღვანელები დისციპლინის განმტკიცებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ნაცვლად ადმინისტრატიულ სასჯელთა მასობრივ დადებას მიმართავდნენ. ასე, მაგალითად, ვოლგის გემების ყველა კაპიტნის 80 პროცენტს დადებული აქვს სასჯელი. წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი თითქმის არ აქეზებდა და არ აჯილდოებდა კარგ მუშაკებს.

წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველო სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სახკომსაბჭოს წევრებმა და წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მუშაკებმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ არადამაკმაყოფილებლად სცნო წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მუშაობა და წყლის ტრანსპორტის მდგომარეობა.

წყლის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოებს ენიჭება სამეურნეო ანგარიშის უფლებები სამრეწველო სახალხო კომისარიატების სამმართველოთა თანაბრად, აგრეთვე დასახულია გადაყვანილ იქნას სრულ სამეურნეო ანგარიშზე გემთსაშენი და გემთსარემონტო ქარხნები, საზღვაო ნავსადგურები, სამდინარო ნავმისადგომები.

ფლოტის ტექნიკური ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოებში უნდა შეიქმნას ტექნიკური განყოფილებანი, აგრეთვე სამდინარო ტრანსპორტის ტექნიკური განყოფილება, რომელიც უშუალოდ სახალხო კომისარს დაექვემდებარება. საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოებში შემოღებულ იქნება მთავარი ინჟინრების თანამდებობა.

გადაწყდა საზღვაო ნავსადგურები გამოყოფილ იქნას საზღვაო სანაოსნოებიდან და უშუალოდ წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს დაუქვემდებარდეს, რომლის შემადგენლობაშიც შეიქმნება საზღვაო ნავსადგურების ცენტრალური სამმართველო, ხოლო ნავთსასხმელი ფლოტი ცენტრში და ადგილებზე დასახულია გამოიყოს ცალკეულ სამმართველოდ.

იმ მიზნით, რომ ფლოტი წესიერ ტექნიკურ მდგომარეობაში იყოს და გაძლიერდეს გემთა კომანდების დაინტერესება გემების მოვლით, შემოღებულ იქნება გემების საინსპექტორო დათვალიერების სისტემა და კომანდების დაჯილდოება გემების წესიერი შენახვისათვის.

სახკომსაბჭომ დაავალა წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს — 1938-1939 წლის განმავლობაში შეაკეთოს და სრულ წესრიგში მოიყვანოს საზღვაო სატრანსპორტო ფლოტი, აღმოფხვრას მისი გაცვეთამდე ექსპლოატაციის პრაქტიკა, აგრეთვე დასახა ღონისძიებანი სამდინარო ფლოტის რემონტის გასაძლიერებლად და ამ რემონტის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა მოაწყოს იმის შემოწმება, თუ როგორ მიმდინარეობს ნავმისადგომების, საწყობების, სასაწყობო მოედნების, სატვირთო მექანიზმების, ინვენტარის, ტაკელაჟის, სასასწორო მეურნეობისა და მტვირთავთა საერთო საცხოვრებლების რემონტი იმ ანგარიშით, რომ სანავსადგურო მეურნეობა სავსებით მზად იყოს ნავიგაციის დასაწყისისათვის.

ნავმისადგომთა და მათი მოწყობილობის რემონტის ხარისხი პირადად უნდა შეამოწმოს ნავსადგურის ან ნავმისადგომის უფროსმა სანაოსნოს წარმომადგენლის მონაწილეობით არაუგვიანეს 10 დღისა ნავიგაციის გახსნამდე.

საგზაო მეურნეობის გასაუმჯობესებლად შემოღებული იქნება გზის მდგომარეობის პერიოდული საინსპექტორო დათვალიერება და სისტემა გზის იმ მუშაკთა დაჯილდოებისა, რომლებიც ჯეროვანად შეინახავენ გზას ნავიგაციის განმავლობაში.

იმისათვის, რომ ქარხნები, გზის ტექნიკური უბნები, ნავსადგურები, ნავმისადგომები, სანაოსნოები დაკომპლექტებულ იქნან ინჟინერთა კადრებით, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა გამოჰყოს 200—300 ინჟინერი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიდან, წყლის ტრანსპორტის დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტიდან და სხვა ცენტრალური ორგანიზაციებიდან. იმ ინჟინრებისათვის, რომლებიც მუშაობენ ქარხნებში, ნავსადგურებში, გემმისადგომებში, გზისა და კავშირგაბმულობის უბნებზე, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ახლანდელი პრაქტიკისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი განაკვეთები უნდა დაწესდეს, ვიდრე სამმართველო აპარატში მომუშავე თანაბარი კვალიფიკაციის მუშაკებისათვის. აუცილებლადაა ცნობილი, რათა დიდი გემების კაპიტნებსა და უფროს მექანიკოსებს, დიდი ნავსადგურების, გემმისადგომების უფროსებს, გემსარემონტო ქარხნების დირექტორებსა და მთავარ ინჟინრებს უშუალოდ სახალხო კომისარი ნიშნავდეს.

იმის გამო, რომ არის შემთხვევები, როცა არასწორად ითხოვენ ვოლგისა და სხვა სამდინარო სანაოსნოთა გამოცდილ კაპიტნებს და დიდი რაოდენობით მოიპოვება წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მიერ განუხილველი აპელაციები არასწორ დათხოვნაზე, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატსა და სანაოსნოებს წინადადება მიეცათ ერთი თვის ვადაში განიხილონ კაპიტნებისა და სხვა მუშაკების ყველა განცხადება და აღადგინონ სამუშაოზე არასწორად დათხოვნილნი.

სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ წყლის ტრანსპორტს შეუძლია გადაჭრით გააუმჯობესოს თავისი მუშაობა, თუ წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარი და წყლის ტრანსპორტის ხელმძღვანელი მუშაკები უმოკლეს ვადაში დაამყარებენ ბოლშევიკურ წესრიგს წყლის ტრანსპორტის მეურნეობაში და ჯეროვან დისციპლინას შექმნიან.

შემდეგ სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მოისმინა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ჟუკოვსკის მოხსენება **რესპუბლიკური და ადგილობრივი საგზაო მეურნეობის მმართველობის შესახებ**.

ამჟამად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გზატკეცილების მთავარსამმართველოს და მის რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო ორგანოებს დაკისრებული აქვთ არა მარტო საერთო-საკავშირო, არამედ აგრეთვე რესპუბლიკური, სამხედრო და საოლქო მნიშვნელობის გზების მშენებლობა, რემონტი და ექსპლოატაცია, რაიაღმასკომების საგზაო მშენებლობის კონტროლი, აგრეთვე გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობისა და რემონტის იმ სამუშაოთა მოწყობის მთელი საქმის ხელმძღვანელობა, რომლებიც სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით სწარმოებს.

ყველა გზის, მათ შორის ადგილობრივი გზების, მშენებლობის თავმოყრა გზატკეცილების მთავარ სამმართველოში გზატკეცილების მთავარსამმართველოს სამეურნეო საქმიანობისა და ყურადღების დაქსაქსვას იწვევს, შესაძლებლობას არ იძლევა კონცენტრირებულ იქნას ძალები უმნიშვნელოვანეს გზებზე, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, და ასუსტებს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობას რესპუბლიკური და ადგილობრივი საგზაო მეურნეობის მდგომარეობისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო:

ა) წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს შეჰქმნან, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისად, მთავარი საგზაო სამმართველოები მოკავშირეთა რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან, საგზაო სამმართველოები ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან, საგზაო განყოფილებანი საოლქო (სამხარეო) აღმასკომებთან;

ბ) გადაეცეს მათ იმ გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობა, რემონტი და შენახვა, რომელთაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა არა აქვთ, აგრეთვე გზების მშენებლობისა და რემონტის იმ სამუშაოთა მოწყობის მთელი საქმის ხელმძღვანელობა, რომლებიც მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით სწარმოებს.

შინსახკომის გზატკეცილების მთავარსამმართველოს გამგებლობაში დატოვებულია განსაკუთრებული ნუსხის მიხედვით საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების მშენებლობა, რემონტი და ექსპლოატაცია.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კაფტანოვის მოხსენების გამო განიხილა პროექტი **„დებულებისა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის შესახებ“**.

„დებულება“ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობის დაწესებას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებისათვის.

საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტები წარმოების ვანსაზღვრულ სამუშაო ადგილებზე უნდა იმყოფებოდნენ და საწარმოთა სათანადო მუშაკების უხელფასო შტატგარეშე თანაშემწეებად და დამხმარეებად უნდა მუშაობდნენ ან დამოუკიდებელ ცალკეულ დავალებებს უნდა ასრულებდნენ.

საწარმოო პრაქტიკა ეწყობა სხვადასხვა სახალხო კომისარიატის საუკეთესო საწარმოებში, სახალხო კომისრების მიერ დადგენილი სიების მიხედვით—ქარხნებში, სკოლებში, საავადმყოფოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, მტსებში, კოლმეურნეობებში და სხვ.

სტუდენტთა პრაქტიკისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საწარმომ ან დაწესებულებამ ხელმძღვანელი უნდა გამოჰყოს კვალიფიციური სპეციალისტებიდან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ძირითადად მიიღო „დებულება“ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ.

გარდა ამისა, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი **„1938 წელს კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“**.

ამ საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი კარტოფილის მოსავლიანობის გასადიდებლად, განსაკუთრებით იმ მხარეებსა და ოლქებში, რომლებსაც შემოჰქონდათ კარტოფილი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ საკითხის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ძირითადი ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობის ისეთი გადიდება კარტოფილის მხრივ მომხმარებელ მხარეებსა და ოლქებში, რომელიც უზრუნველჰყოფს ამ მხარეებისა და ოლქების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას კარტოფილზე და რკინიგზებით კარტოფილის შორ მანძილზე გადატანის ლიკვიდაციას.

(საქტესი)

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პარტიულ თემაზე

# გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები

(სოხუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

სოხუმის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული.

ხალხის მტრები ფართოდ იყენებდნენ ცალკეული კომუნისტების სიფხიზლის მოდუნებას და სხვადასხვა ცილისმწამებლური, პროვოკაციული ბრალდებების წაყენებით პარტიიდან რიცხავდნენ აქტიურ კომუნისტებს. პარტიის სოხუმის რაიკომის ყოფილი მდივნების (რომლებიც ახლა უკვე მხილებულნი არიან როგორც ხალხის მტრები) დაჟინებითი მოთხოვნით თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის პარტკომმა (პარტკომის მაშინდელი მდივანი ხაფრასოვი) პარტიიდან გარიცხა აქტიური კომუნისტი ა. აგიკიანი, რომელსაც პროვოკატორებმა წაუყენეს ბრალდება, თითქოს მას ხალხის მტრებთან ჰქონდა კავშირი. ბრალდება შეთხზული გამოდგა. სოხუმის რაიკომის ყოფილ „ხელმძღვანელთა“ მოთხოვნით პარტიიდან გარიცხეს აგრეთვე წებელდელი აქტიური კომუნისტი ი. ამბარჯიანი, რომელსაც ბრალი დასდეს კოლმეურნეობის საზიანო მუშაობაში. მტრებმა — პროვოკატორებმა კომუნისტ ე. ვეკუას მოუგონეს — მიწა იყიდაო და პარტიიდან გარიცხეს. ასევე ცილისმწამებლური ბრალდებებით გარიცხეს ე. ვერულავა, ი. კონსტანტინიდი და სხვები.

საინტერესოა ორი მოწინავე კომუნისტი მუშის ვ. ვოიჩენკოს და სტეფანე ავჯიანის საქმე.

ვოიჩენკო ტყავის ქარხნის მოწინავე მუშა იყო, აქტიური კომუნისტი. მას მეორე მუშამ გ. ბეტონიანმა ბრალი დასდო — მავნებლურად მუშაობსო. ქარხნის პარტკომის ყოფ. მდივანმა ზ. კარაკოზმა მიმართა „ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობისაგან“ თავის დაზღვევის ხერხს, სრულებით არ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და კომუნისტთა კრებას უსამართლოდ გაარიცხვინა პარტიიდან ვოიჩენკო. ვოიჩენკოს ეს როდი აკმარეს. კარიერისტმა კარაკოზმა ადმინისტრაციის წინაშე დააყენა სამუშაოდან ვოიჩენკოს მოხსნის საკითხი და კიდევაც მიაღწია მიზანს. ვოიჩენკო წარმოებიდან მოხსნეს როგორც მავნებელი.

სტეფანე ავჯიანი თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობდა. ხალხის მტრებმა გადასწყვიტეს ამ აქტიური კომუნისტის თავიდან მოშორება. დასწამეს სახელმწიფო ქონების მტაცებლობა და ხალხის მტრებთან კავშირი, გარიცხეს პარტიიდან და სამუშაოდანაც მოხსნეს.

სოხუმის ქალაქის საბჭოს პარტორგანიზაციამ ხელაღებით გარიცხა პარტიის წევრობის კანდიდატი ს. ფარლალავა და სამსახურიდანაც მოხსნა იგი. მას ბრალდებად წაუყენეს ხალხის მტრებთან კავშირი. ფარლალავა სამი თვის განმავლობაში უმუშევრად იყო. გამოირკვა, რომ ბრალდება აგებული იყო ჭორებზე და კერძო ინტერესზე. ქალაქის საბჭოში მუშაობიდან მოხსნეს პარტიის წევრები ზაგორულკო და აბულაძე, როგორც სუსტნი, და მათთვის სამაგიერო სამუშაო დღემდე არ მიუციათ.

ფინსახკომის აპარატიდან მოხსნეს პარტიის წევრობის კანდიდატი ნ. ქორქია. ეს იყო 6 თვის წინათ. მისთვის სხვა სამუშაო დღემდე არ აღმოუჩენიათ.

კიდევ მეტი. საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა უკანასკნელ ხანებში მიიღო არასწორი დადგენილება კომუნისტ ქალ ქ. დავიდენკოს შესახებ. საქმე იმაშია, რომ განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით სამუშაოდან მოხსნილ იქნა, როგორც უვარგისი, ერმოლოვსკის (გაგრა) სკოლის გამგე კომკავშირელი ლაკირბაია. კომკავშირის საოლქო კომიტეტი, ნაცვლად იმისა, რომ შეესწავლა და გამოერკვია მოხსნის მიზეზები, ილაშქრებს განსახკომის კადრების განყოფილების გამგის კომუნისტ დავიდენკოს წინააღმდეგ, უწოდებს მას კლასობრივი მტრების ხელისშემწყობს და მოითხოვს მისთვის სასჯელის დადებას.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები უკვე ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანონოდ გარიცხულთა აღდგენასთან ერთად არ ხდება ცილისმწამებელთა და კარიერისტთა დასჯა.

**გ. მერკვილაძე**

# აღრიცხვა უვარგისია, კონტროლი არ არის

(ჭიათურა, ჩვენი სპეც. კორ.)

გასულ წელს ჭიათურის რაიონის განათლების განყოფილებამ ორჯერ (იანვარსა და სექტემბერში) მოახდინა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვა. პირველი აღრიცხვის დროს გამოირკვა, რომ რაიონში წერა-კითხვის 2.270 უცოდინარია და 4.238 მცირემცოდნე. წერა-კითხვის უცოდინართათვის 50 სკოლა გახსნეს, ხოლო მცირემცოდნეთათვის 81. ამ სკოლებში 1.624 უცოდინარი და 2.087 მცირემცოდნე ჩააბეს. სასწავლო წლის პირველ ნახევარში წერა-კითხვის უცოდინართა სკოლებიდან გამოუშვეს 1.246 კაცი, ხოლო მცირემცოდნეთა სკოლებიდან — 1.127.

ამის შემდეგ უნდა გვეფიქრნა, რომ რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ხელმეორედ აღრიცხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ რაიონში 4.216 უცოდინარი და 6.093 მცირემცოდნე ჰყავთ.

წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლები ყოვლად უმსგავსოდ მუშაობენ, მათზე არ არის დაწესებული სისტემატური კონტროლი, რის გამო უცოდინართა სკოლებიდან უმეტეს შემთხვევაში ისევ უცოდინარებს უშვებენ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გადაათვალიეროთ ჭიათურის განათლების განყოფილებაში თავმოყრილი ე. წ. „გამოსაშვები აქტები“ წერა-კითხვის სკოლებისა. ამ აქტებიდან სჩანს, რომ ბევრი მასწავლებელი არაკეთილსინდისიერად ეკიდება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მეტად პასუხსაგებ საქმეს.

ახლა აღრიცხვას ხელახლა იწყებენ, განათლების განყოფილების, სასოფლო საბჭოებისა და სკოლების ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ წარსულში დაშვებული შეცდომები, რათა მომავალში თავიდან აიცილონ ისინი.

**შ. კერიძე.**

### ინჟ. ვ. ნაზაროვი

# დრეიფი დასრულდა

თუ მხედველობაში მივიღებთ დრეიფის ყველა მიხვევ-მოხვევას, სადგურმა „ჩრდილოეთის პოლუსმა“ სამიათას კილომეტრზე მეტი გზა გაიარა. სადგურის დრეიფის გზის სიგრძე გაცილებით აღემატება იმ მანძილს, რაც ნანსენმა „ფრამის“ დრეიფის დროს გაიარა. ამრიგად, ეს დრეიფი დღემდე მომხდარ დრეიფთაგან ყველაზე დიდია. სადგურის დრეიფის მთელმა გზამ გაიარა სრულიად გამოუკვლეველ რაიონებში. მხოლოდ იმ რაიონზე, სადაც სადგური ყინულიდან გადმოიყვანეს, არსებობდა ზოგიერთი ცნობები, მაგრამ ისინიც არ იყო სრული ნდობის ღირსი.

ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე ყველაზე პატარაა დედამიწის ოთხი ოკეანიდან, იგი 12-ჯერ ნაკლებია წყნარ ოკეანეზე, მისი ფართობი 15 მილიონ კვადრატულ კილომეტრს უდრის, რაც დედამიწის მთელი ზედაპირის დაახლოვებით 0,03-ს შეადგენს. ეს ოკეანე დანარჩენ ოკეანეებზე უფრო ნაკლებად არის შესწავლილი. მაგალითად, ოკეანის ცენტრალური ნაწილისა და მისი კიდეების ძირის ფორმა დღემდე უცნობია და რუკაზე მას ვარაუდის საფუძველზე აჩვენებენ. შესაძლებელია, იმ ფართობზე, რომელიც ოკეანეს უჭირავს, კიდევ ბევრი კუნძული აღმოჩნდეს.

ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის 90 პროცენტი დაფარულია ყინულით, რომელიც ქარისა და დინებათა გავლენით მუდმივად მოძრაობს (დრეიფი). ოკეანის ყინულოვანი საფარველი წარმოადგენს ძირითად დაბრკოლებას მის შესწავლაში. 1930 წლიდან საბჭოთა მეცნიერებმა დაიწყეს იმის პროპაგანდა, რომ ოკეანე შესწავლილ იქნას მოდრეიფე ყინულიდან. ამ აზრის პირველ განხორციელებას წარმოადგენს სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მუშაობა.

ყინულოვან ოკეანეში მცურავი ყინულის მოცულობა 32.000 კუბურ კილომეტრს უდრის. დაახლოვებით 12.000 კუბური კილომეტრი ზაფხულში დნება და ასეთივე რაოდენობა კვლავ იქმნება ზამთარში.

წინასწარი მონაცემებით ოკეანის ცენტრალურ ნაწილში ყინული ზაფხულის განმავლობაში დაახლოვებით ერთი მეტრის სიღრმეზე დნება. იმ ყინულის სისქე, რომელიც წლის განმავლობაში ცენტრალურ ნაწილში იქმნება, სამ მეტრს არ აღემატება. ასეთი—ერთი წლის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, 9 თვის, ყინული ჰფარავს ოკეანის მთელი ზედაპირის დაახლოვებით მეოცედ ნაწილს. დანარჩენი ყინული კი მრავალწლიანია. მრავალწლიანი ყინული ერთი ხნოვანებისა არ არის, მთელ თავის სისქეზე იგი, როგორც წესი, შემდეგი სამი ფენისაგან შესდგება: ზედა ფენა დაახლოვებით ერთი მეტრის სისქისა—სამი წლის ხნოვანებისაა; მეორე ფენა, სისქით ერთი მეტრი—ორი წლის ხნოვანებისა და მესამე ფენა—სისქით აგრეთვე ერთი მეტრი—ერთი წლის ხნოვანებისა.

ამ ყინულის საერთო სისქე კი სამი მეტრის ფარგლებში მერყეობს. ამ ყინულის არსებობა ასეთია. ზედა ფენა—სამი წლისა—ზაფხულის განმავლობაში დნება და რჩება ორი წლისა და ერთი წლის ხნოვანების ფენები. ზამთრის განმავლობაში ორი მეტრის სისქის ყინულოვან საფარველს ქვემოდან ემატება ერთი მეტრი, ხოლო ზედა ფენა—ორი წლის ხნოვანებისა გადადის სამიწლისად. მომდევნო წელს იგივე პროცესი მეორდება. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, გაზაფხულზე პოლარულ ბასეინში ზედაპირზე შეიძლება შევხვდეთ ყველაზე ძველ ყინულს—სამი წლის ხნოვანებისას. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ცალკეული ტოროსები და აისბერგები.

სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ ცნობებით, პოლუსის ირგვლივ მდებარე რაიონის ყინულოვანი საფარველი დიდი ველებისაგან შესდგება. ველების ზედაპირი შედარებით სწორია და დაფარულია დამრეცი ბორცვებით. ველები შეკრულია ყინულის დიდ მასივებად, რომელთა შორის, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვან მანძილზე, გადის ახალი ნაპრალების ზოლები; ეს ზოლები ამოვსებულია ნატეხი ყინულით. ყინულთა მასივების ერთმანეთის მიმართ ადგილგადანაცვლება ამ ნაპრალებით ხდება. ნაპრალების მახლობლად ხშირად ვხვდებით ტოროსების დიდ დაგროვებას, რომლის სისქე ცალკეულ შემთხვევებში 8-10 მეტრს აღწევს.

პოლარული ბასეინის ცენტრალური ნაწილის ყინული მუდამ მოძრაობს ძირითადი მიმართულებით ალიასკის ნაპირებიდან შპიცბერგენსა და გრენლანდიას შორის არსებული სრუტისაკენ. ამ სრუტეზე ცენტრალური ბასეინიდან თბილ ზღვებში ყოველწლიურად გამოდის 1.300 კუბური კილომეტრი ყინული. ჩვენ მიერ წარმოებული გამოანგარიშებით გამორკვეულია, რომ წლის განმავლობაში ამ სრუტეზე ყინულის გამოსვლა საგრძნობლად მერყეობს. ყინულის უდიდესი რაოდენობა — 300 კუბური კილომეტრი—გაივლის ხოლმე თებერვალში, ვინაიდან ამ თვეში განსაკუთრებით ძლიერი ქარები იცის, რაც ხელს უწყობს ყინულის გამოტანას. აგრეთვე გამორკვეულია, რომ ყინულის გამოტანა 80 პროცენტით ხდება ქარის გავლენით და მხოლოდ 20 პროცენტი მოდის ზღვის დინების წილად.

ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ყველაზე წყალნაკლული ზღვები, საბჭოთა სანაპიროს მიყოლებით მდებარეობს. წყალნაკლული ზღვები სწრაფად ცივდებიან, რაც იწვევს ყინულის ინტენსიურად შექმნას. შექმნილი ყინული, იქ არსებული დინებისა და ქარის გავლენით გადის ჩრდილოეთისაკენ, მის ადგილას კი იქმნება ახალი ყინული. ასე რომ წყალნაკლული ზღვები ნაწილობრივ ყინულის ფაბრიკას წარმოადგენენ. ზღვებიდან გატანილი ყინული უერთდება ძირითად დრეიფს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მარტო კარსკის ზღვიდან ცენტრალურ პოლარულ ბასეინში ყოველწლიურად გადის დაახლოვებით 250 კუბური კილომეტრი ყინული. ეს სიდიდე საშუალოა, ცალკეულ წლებში კი მნიშვნელოვან მეტნაკლებობას აქვს ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზღვის ყინულის სიმაგრე მნიშვნელოვნად იზრდება მისი ტემპერატურის შეცვლისას. ასე, მაგალითად, როდესაც ყინულის ტემპერატურა დაბლა იწევს მინუს 2 გრადუსიდან მინუს 20 გრადუსამდე, ზღვის ყინულის სიმაგრე ერთი-ექვსად მატულობს. ამის შედეგად ტოროსები განსაკუთრებით ძლიერად იქმნება შემოდგომაზე, როდესაც ქარიშხლები ხშირია, ყინული სწრაფად იქმნება და როდესაც ყინულის სიმაგრე ჯერ კიდევ მცირეა.

სადგურმა „ჩრდილოეთის პოლუსმა“ გაზომა ოკეანის სიღრმე პოლუსის მახლობელ რაიონში. აღმოჩნდა 4.374 მეტრი. შემდეგ გაზომილ იქნა სიღრმეები მთელ გზაზე ჩრდილოეთის პოლუსიდან კუნძულ იან მაიენამდე. სადგურის მუშაობამდე გამოურკვეველი იყო, თუ რას უდრიდა ოკეანის სიღრმე პოლუსის რაიონში, ვინაიდან ამერიკულ მკლევარ რობერტ პირის, რომელიც იქ 1908-1909 წლებში იყო, არ შეეძლო გაეზომა ოკეანის სიღრმე ექსპედიციის სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის გამო, თუმცა ამ ექსპედიციას 23 წლის განმავლობაში ამზადებდა. რობერტ პირი ერთეული იყო, რომელსაც თავისი სახელმწიფო დახმარებას არ უწევდა. საბჭოთა სადგურის მუშაობის შედეგად ჩვენ ვიცით ყინულის დრეიფის სისწრაფე და მიმართულება პოლუსიდან კუნძულ იან მაიენამდე. ირკვევა, რომ ამ რაიონში დრეიფი ხდება თითქმის მერიდიანის მიმართულებით სამხრეთისაკენ. ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ქარი და მცირეოდენ როლს თამაშობს დინებაც. ამ რაიონში ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარები სჭარბობს. სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ დრეიფმა საბოლოოდ დაადასტურა არსებული თეორია იმის შესახებ, რომ ყინული თავისი მოძრაობის დროს იხრება მარჯვნისაკენ იმ ქარის მიმართულებიდან, რომლის გავლენითაც იგი მოძრაობს. ყინულის მოძრაობა ამ რაიონში ფრიად უთანაბროა. სხვადასხვა დროს დღე-ღამის განმავლობაში ყინული გადიოდა 1-დან 24-მდე კილომეტრს. სადგურმა „ჩრდილოეთის პოლუსმა“ გამოარკვია, რომ პოლუსიდან მერიდიანის გასწვრივ სამხრეთის მიმართულებით, ისლანდიისაკენ არსებობს ყინულის მუდმივი მოძრაობა, აგრეთვე ზედაპირული მოძრაობა ზღვაში. ხოლო 200-დან 600-მდე მეტრისა და მეტ სიღრმეზე მიიმართება თბილი დინება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მონაცემები მიგვითითებენ, რომ ატლანტიის თბილი დინების ყველაზე მძლავრი ფენა ერთგვარ სიღრმეზე მიიმართება საბჭოთა არქტიკის ზღვებისაკენ.

სადგურის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ თბილი წყლების ყველაზე მძლავრ ფენაში მდიდარი ცხოველური და მცენარეული სიცოცხლეა.

სადგურმა გააკეთა მრავალი მაგნეტური დაკვირვება, რომლებიც მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ მონაცემებს ჩრდილოეთის ნახევარსფეროს მაგნეტური რუკებისათვის.

სადგურის მუშაობასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მფრინავებმა შეიძინეს ყინულზე დაშვების, აგრეთვე არქტიკული ამინდის პირობებში ფრენის მდიდარი გამოცდილება.

პოლარული სადგურის მუშაობამ აღმოაჩინა პოლარულ რაიონებში რადიოტალღების გავრცელების მთელი რიგი თავისებურებანი, რომელთა შესწავლას ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა.

საბჭოთა სინოპტიკოსებმა მიიღეს უაღრესად უხვი ცნობები არქტიკის ატმოსფეროს აგებულების შესახებ. ირკვევა, რომ მცირე სიმაღლეზე, ერთიდან ორ კილომეტრამდე, არქტიკაში ხშირია მთლიანი მცირედმოძრავი ღრუბლები, რომლებსაც ვეებერთელა სივრცეები უჭირავს.

სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ მუშაობამ მოგვცა უაღრესად მდიდარი მონაცემები საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის ყინულოვან ოკეანეზე რეგულარული მიმოსვლის განხორციელებისათვის.

ამჟამად უკვე ცნობილია, რომ ცენტრალურ პოლარულ ბასეინში სიცოცხლეა არა მარტო ზღვაში, არამედ ზღვის ზემოთაც, ვინაიდან სადგურის მეზამთრეებმა იქ ნახეს ფრინველები, დათვები, რაც მოწმობს, რომ პოლუსის ირგვლივ მდებარე რაიონში სიცოცხლე არსებობს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სადგურმა „ჩრდილოეთის პოლუსმა“ მეტი მასალა მოგვცა ოკეანის შესასწავლად, ვიდრე მთელმა იმ მუშაობამ, რაც არქტიკაში უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში სწარმოებდა.

ბუნებასთან ბრძოლაში ასეთი წარმატებისათვის შეიძლებოდა მიეღწია მხოლოდ სოციალიზმის პირველ ქვეყანას—სსრ კავშირს.

◆

# თესლის პირველი შემოწმება ჩაშლილია

(ჭიათურა, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

თესლის შემოწმებისა და ჯიშიან თესლზე გადაცვლის დამთავრების ვადა 15 იანვარი იყო, მაგრამ ჭიათურის რაიმიწგანის ხელმძღვანელ მუშაკებს ეს საკითხი სრულებით გამორჩათ მხედველობიდან. ისინი კონტროლს არ უწევენ იმას, თუ რომელი კოლმეურნეობა იჩენს გულგრილ დამოკიდებულებას თესლის გადაცვლის საქმეში.

„ზაგოტზერნოს“ ჭიათურის საწყობიდან მიწგანს უნდა მიეღო 610 ცენტნერი ჯიშიანი თესლი. ფაქტიურად მიღებულია 200 ცენტნერამდე. კოლმეურნეობების მიერ მოგვარებული არ არის თესლის გადაზიდვა.

გაზაფხულის თესვისათვის საჭირო 468 ცენტნერი ხორბლიდან შემოწმებულია მხოლოდ 256 ცენტნერი, 1.289 ცენტნერი ქერიდან — 746 ცენტნერი. თესლის შემმოწმებელ ლაბორატორიაში (გამგე — არველაძე) არ მოეპოვებათ ცნობები, თუ რომელ კულტურას როგორი აღმოცენებისუნარიანობა აქვს. შეკითხვაზე, თუ რამდენი ცენტნერი სათესლე მასალაა შემოწმებული და ნებადართული დასათესად, ლაბორატორიის გამგე არველაძემ განაცხადა: „უკვე დავამთავრეთ პირველი შემოწმება და ახლა ვიწყებთ მეორესო (!)“. ეს მაშინ, როდესაც პირველი შემოწმება ნახევრადაც არ არის შესრულებული. ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან აქ თესლის გაწმენდა-შემოწმებას.

მიწგანის მუშაკებს უპასუხისმგებლობაში წააძეს ცხომარეთის ორჯონიკიძის სახელობის, ითხვისის ვოროშილოვის სახელობის, ხრეითის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებმა, რომელნიც ძალიან აჭიანურებენ თესლის გაწმენდას.

**მ. გაფრინდაშვილი.**

# გამოფენის კანდიდატები

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღებისათვის მზადებას მახარაძის რაიონი თავის დროზე შეუდგა. მიღწეული მაჩვენებლების მიხედვით გამოფენაში მონაწილეობის პირობებს აკმაყოფილებენ ციტრუსოვან კულტურების დარგში სოფ. შრომის, თხინვალის, მერიის, ნაღობილევის კოლმეურნეობები და ნატანების საბჭოთა მეურნეობა. სიმინდის კულტურის მხრივ 14 კოლმეურნეობა, მათ შორის: კონჭკათი, ლეშა-გაკირული, ზვანმოადანახე, ჯუმათი, შემოქმედი, ექადია, ლიხაური, მაკვანეთი, გურიანთა, ძიმითი და სხვ.

რაიონში არსებული 39 კოლმეურნეობიდან გამოფენაში მონაწილეობის უფლება ჩაის კულტურის დარგში მოპოვებული აქვს 18 კოლმეურნეობას. მათ შორის ხვარბეთის, წითელმთის, გალმა-დვაბზუს, ჯუმათის, ჭანიეთის, გურიანთის, სოფ. მახარაძის, მელექედურის, ნაღობილევის და ნატანების კოლმეურნეობებს; ლაითურისა და ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობებს.

აღნიშნულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შერჩეული და გამოყოფილია გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატები, რომლებსაც სპეციალურად ამ საქმისათვის გამოყოფილი კოლმეურნენი უვლიან.

**ალ. პავლოვი**

# ცნობები კოლმეურნეობებიდან

## ჩამოყალიბდა ახალი კოლმეურნეობები

**ცაგერი,** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან უხვი მოსავალი მიიღეს. სოფ. მახურის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 26 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. კოლმეურნეებს სხვა პროდუქტებს გარდა შრომადღეზე 10,2 კილოგრამი მარტო სიმინდი ხვდათ. ისევე კარგ წარმატებებს მიაღწიეს სოფელ ბარდნალის, ლესინდის, ცაგერის, აჯარისა და ორხვაშის კოლმეურნეობებმაც.

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში არსებულ კოლმეურნეობებს 468 ახალი კომლი შემატა. სოფელ ხოჯსა და ჭალისთავში ახალი კოლმეურნეობები ჩამოყალიბდა.

**გ. ჟურაშვილი**

## უვარგისი ხელმძღვანელი

**ქასპი,** სოფელ ყარაფილის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. მელაძის უხეირო ხელმძღვანელობით კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომის დისციპლინა. მოუგვარებელია შრომის ზუსტი აღრიცხვა და შრომის ორგანიზაცია. წიგნაკებში დროულად და ზუსტად არ შეაქვთ შრომადღეები. მოანგარიშე გიტა ილურიძე უდარდელად ეკიდება თავის მოვალეობას.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ზადიანთკარის და ქვემოჭალის კოლმეურნეობებში.

სოფელ ყარაფილის კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვი მოუვლელია, ბოსლების შეკეთება დღემდე არ დაუმთავრებიათ.

**სტ. გიორგაძე**

## ქოხ-ლაბორატორიები ცუდად მუშაობენ

**მახარაძე.** 1935—36 წელს მახარაძის რაიონში მოეწყო 12 ქოხ-ლაბორატორია. შესდგა პროგრამები, ქოხ-ლაბორატორიების გამგეები ორთვიან კურსებზე გადაამზადეს. პირველ ხანებში ამ მხრივ ყველა აქტივობას იჩენდა, მაგრამ შემდეგ საქმე მიივიწყეს. ქოხ-ლაბორატორიები დაივიწყეს, როგორც ჩაის სამეცნიერო - კვლევითმა ინსტიტუტმა, ისე მიწგანმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმაც.

სოფ. ნაგომრის, მაკვანეთის, ექადიის, გურიანთის, მერიისა და ლიხაურის კოლმეურნეობებში და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ქოხ-ლაბორატორიები ფორმალურად არსებობენ. ლაბორატორიისათვის საჭირო ხელსაწყოები და ინვენტარი უპატრონოდაა დაყრილი. ლაბორატორიები არ მართავენ აგროსაუბრებს, არ იკრებენ თავის ირგვლივ კოლმეურნე მცდელებსა და მოწინავე სტახანოველებს.

**ალ. პ—ვი.**

## მუშა-საქონელს არ უვლიან

**ცხაკაია,** (საკ. კორ.). სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ყ. გოგინავა) მუშა-საქონელი არ გადაუყვანია გაძლიერებულ კვებაზე. ცოცხალი გამწევი ძალისათვის გამოყოფილი კონცენტრირებული 21 ტონა საკვები გაუნაწილეს კოლმეურნეობის წევრებს. მუშა-საქონელს ეპყრობიან უხეშად და ამუშავებენ გარესამუშაოზე.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ნოქალაქევის და მენჯის კოლმეურნეობებში.

**გრ. გეგენავა**

ჩრდილოეთ პოლუსზე

მარცხნიდან-მარჯვნივ: ამხანაგები ი. პაპანინი, პ. შირშოვი, ე. ფედოროვი და ო. შმიდტი პოლუსზე.

„სოიუზფოტო“.



თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის სტახანოველი ამხ. კაუ-ტეპ-ჩეი (ჩინელი) მუშაობის დროს. ის გეგმას 130-150 პროცენტით ასრულებს.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

# შ. რადიანი—„ლიტერატურული მემკვიდრეობა“

გამ. „ფედერაცია“, 1937 წ.

თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში შ. რადიანის ლიტერატურული, კრიტიკულ - კვლევითი მუშაობა თვალსაჩინო ნაყოფიერებით ხასიათდება. ამ ნაყოფიერების შედეგია, რომ შ. რადიანმა მოკლე დროის განმავლობაში შესძლო საკმაოდ მოზრდილი წიგნის „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ გამოცემა. ამ წიგნის პირველმა გამოცემამ თავის დროზე დადებითი შეფასება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ შიგ მოთავსებულ ზოგ ნარკვევში ადგილი ჰქონდა ე. წ. „სოციოლოგიური“ ხასიათის შეცდომებს. „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ მეორე გამოცემა ამ მხრივ დაზღვეულია, რადგან ავტორს საგრძნობლად შეუსწორებია იგი და თან ახალი ნარკვევებითაც შეუვსია. პირველ გამოცემასთან შედარებით ავტორს ამ წიგნიდან ზოგი სტატიაც (ნ. ლომოურის, მ. გურიელის, მ. თუმანიშვილის შესახებ) ამოუღია, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ წიგნში უფრო სრულქმნილი ნარკვევები დაეტოვებინა.

შ. რადიანის „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ არაა ლიტერატურის ისტორია, არამედ ქართული ლიტერატურის მდიდარი მემკვიდრეობისა და მის ცალკეულ თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედებითი ანალიზია. ამ წიგნს არც შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია იწოდებოდეს ისტორიად, რადგან მას აკლია ჩვენი დიდი კლასიკოსების მთელი რიგი სახელება (ვაჟა-ფშაველა, აკ. წერეთელი, და სხვ.). მიუხედავად ამისა, შ. რადიანის „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან მთელი რიგი მწერლების შესახებ მასში მოთავსებულია სერიოზულად დამუშავებული და დასაბუთებული სტატიები. ასეთი ნარკვევები კი ფრიად საჭიროა ამჟამად, როცა ძირფესვიანად შეიცვალა არამარქსისტული, ვულგარული დამოკიდებულება კლასიკოსებისადმი, ფალსიფიკატორების მიერ ერთხანს დანერგილი. ეს მით უმეტეს, რომ შ. რადიანს კვლევის საგნად აუღია ისეთი მწერლები, რომელთა შემოქმედებითი შეფასება წარსულში დიდ გაყალბებას განიცდიდა. ეს მწერლებია: ილია ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, რ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, ეგ. ნინოშვილი. რაც შეეხება ისეთ მწერლებს, როგორიცაა შიო არაგვისპირელი, ქ. ლომთათიძე, ი. ევდოშვილი, მათს შემოქმედებას სერიოზული მარქსისტული შეფასება არას დროს არ ღირსებია, მაგრამ ამ დანაკლისს უსათუოდ ავსებს შ. რადიანის „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ ამ მწერლების შესახებ მოთავსებული სტატიები.

პირველი სტატია, რომლითაც იხსნება „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ეხება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. თავის დროზე ეს წერილი დართული ჰქონდა წინასიტყვაობად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საიუბილეო გამოცემას. წერილში მოცემულია ამ დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის ფართო დახასიათება, ი. ჭავჭავაძის პროგრესული იდეების, სოციალ-პოლიტიკური მრწამსის, მხატვრული კონცეპციის, ესთეტიკურ-კრიტიკულ შეხედულებათა გარკვევა-დახასიათება, ილიას მნიშვნელობა და ადგილი ქართულ ლიტერატურაში. წერილში გაკვრით აღნიშნულია ის ვულგარიზაცია, რომელსაც ი. ჭავჭავაძისადმი იჩენდნენ ზოგიერთი მკვლევარები.

საკმაოდ მოზრდილია და ბეჯითად ნამუშევარ ნარკვევად უნდა ჩაითვალოს ამ წიგნში წერილი გიორგი ერისთავის შემოქმედების შესახებ. ქართველ „მოლიერად“ წოდებული ამ მწერლის შემოქმედების დასახასიათებლად ავტორს დიდძალი მასალა გამოუყენებია და ამიტომ გ. ერისთავის შემოქმედების სახე, მისი სამწერლო ევოლუცია და ისტორია საკმაოდაა გაშუქებული. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ გამოცემასთან შედარებით აღნიშნული წერილი ავტორს საგრძნობლად გადაუმუშავებია, რადგან პირველ გამოცემაში ავტორს წინააღმდეგობა ჰქონდა გ. ერისთავის შემოქმედების განსაზღვრის დროს.

ვრცელი წერილით ეხება ამ წიგნში ავტორი რ. ერისთავის შემოქმედებას. იგი ფართოდ იხილავს რ. ერისთავის მოღვაწეობის გზას, ამასთანავე სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს ქართული ლიტერატურის ზოგიერთ ისტორიკოსს რ. ერისთავის შემოქმედების პერიოდიზაციისა და შემოქმედებითი რაობის განსაზღვრაში. ავტორს გადაუსინჯავს თავისი (პირველი გამოცემის) ძველი შეხედულებები რ. ერისთავზე და შედარებით სწორად აშუქებს რ. ერისთავის შემოქმედებას.

ასევე საგრძნობლად გადამუშავებული სახით წარმოდგენილია ამ წიგნში წერილი დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე. დიდი სიყვარულითა და მონდომებით დაწერილი შ. რადიანის მიერ წერილი ე. ნინოშვილის შესახებ. იგი ე. ნინოშვილს იხილავს, როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული სტილის მწერალს.

შ. რადიანს ერთგვარი დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ მან გაიხსენა და სათანადოდ შეაფასა ი. ევდოშვილი, მაგრამ იგი ევდოშვილის შემოქმედებითი ანალიზის დროს გადაჭარბებულად ეყრდნობა მწერლის კლასობრივი შეზღუდულობის თვალსაზრისით განხილვას, რაც მით უმეტეს ი. ევდოშვილის მიმართ არ შეიძლება დაშვებულ იქნას.

„ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ მოთავსებულია აგრეთვე სტატიები ვასილ ბარნოვისა და ჭოლა ლომთათიძის შესახებ. ორივე წერილი საინტერესოდაა დაწერილი.

შ. რადიანის „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ უსათუოდ საჭირო და სასარგებლო წიგნია, მაგრამ ავტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ენის დახვეწას, მით უმეტეს, რომ ეს წიგნი იხმარება სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელოდ.

**ა. ლ—ი.**

# მიუღებელი და უვარგისი კოლხელშეკრულება

(ფოთი, საკ. კორ.)

ფოთის ნავსადგურში 1935 წლიდან დღემდე ძალაშია ისეთი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც ეწინააღმდეგება დიადი სტალინური კონსტიტუციის არსს. ამ ხელშეკრულებით ფოთის ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობა მოკლებულია დასვენების დღეებით სარგებლობის უფლებას.

აღნიშნული კოლხელშეკრულების ძალით დისპეტჩერებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, ელექტრომონტიორებს, ცეცხლფარეშებს, 8 და 40 ტონიანი ამწეების (კრანების) მექანიკოსებს, ექსკავატორების მემანქანეებს, საწყობების ყველა მუშაკს, მოლარეებს, ტრანსპორტიორების მსახურთ, სანაპირო ზედამხედველობის მეზღვაურებს, ლოცმანებსა და სალოცმანო კომანდის მთელ შემადგენლობას მთელი თვის განმავლობაში დაუსვენებლად უხდებათ მუშაობა.

ეს კოლხელშეკრულება 1935 წლის პირველი ივლისიდან მოქმედებს. ცხადია, ხალხის უბოროტესი მტრები ცდილობდნენ დაემახინჯებინათ შრომის კანონები და ამით მუშა-მოსამსახურეთა უკმაყოფილება გამოეწვიათ.

საკვირველია, რატომ დღემდე არ გააუქმეს ეს დადგენილება, ან რატომ არ არის თანახმა შავი ზღვის სანაოსნო სამმართველო გააუქმოს ეს ხელშეკრულება, რომლითაც აშკარად ირღვევა შრომის საბჭოთა კანონები?

ეს მდგომარეობა ფოთის ნავსადგურის მუშაკებმა არაერთხელ აცნობეს ოდესაში შავი ზღვის სანაოსნო სამმართველოს, მაგრამ მდგომარეობა დღემდე მაინც არ გამოსწორდა.

ფოთის ნავსადგურში ამ მავნებლური ხელშეკრულების გაუქმებისათვის გამბედაობა არ ჰყოფნით. ამ საკითხზე „დირექტივის“ მოლოდინში ელიან.

საჭიროა ამ საქმეში საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი ჩაერიოს.

**ზ. მელიქია.**

# ავსტრიის დაპყრობის შემდეგ

## ჰიტლერი გაემგზავრა ვენაში

**ვენა**, 14 მარტი (საკდესი). „ავსტრიის გერმანიასთან შეერთების" შესახებ კანონის გამოცემასთან დაკავშირებით, ავსტრიის „მთავრობის" ბეჭდვითი სიტყვის შეფმა უცხოეთის კორესპონდენტებს შემდეგი განუცხადა: „ზაის-ინკვარტის მთავრობა თავის თავს სთვლის გერმანიის იმპერიის პროვინციის მთავრობად (ლანდესრეგირუნგ). ავსტრიული კანონების გერმანულ კანონებთან უნიფიცირების საკითხი, აგრეთვე საკითხი ერთიანი ვალუტის შესახებ გადაიჭრება უახლოეს დროში. საბაჟო უნია ავსტრიისა გერმანიასთან მომხდარი ფაქტი არის".

მიწათმოქმედების მინისტრმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა, რომ გერმანული კანონები სოფლის მეურნეობის დარგში ვრცელდება ავსტრიაზე.

გაზეთები აქვეყნებენ ჰიტლერის ბრძანებას, რომლის თანახმად ავსტრიული არმია შედის გერმანულ შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში. ყველა იმ პირმა, რომლებიც მსახურობენ ავსტრიულ არმიაში, უნდა შეჰფიცონ ჰიტლერს, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს.

ავსტრიული რადიო გამოცხადებულია გერმანული რადიოს ნაწილად და მათ საერთო პროგრამა აქვთ.

ავსტრიულ „პროფკავშირთა გაერთიანების" კომისრად დანიშნულია ნაციონალ-სოციალისტი, რომელმაც დავალება მიიღო ჩაატაროს ავსტრიული პროფკავშირების შეერთება გერმანულ ფაშისტურ „შრომითი ფრონტთან".

ჰიტლერი ლინციდან ვენას გაემგზავრა. გუშინ ჰიტლერმა შემდეგი სამადლობელი დეპეშა გაგზავნა მუსოლინის სახელზე: „მუსოლინი, მე ამას არასოდეს არ დავივიწყებ".

ლინცაში, ვენის გაზეთების ცნობების თანახმად, დაპატიმრებული არიან დაშლილ „სამშობლოს ფრონტის" წევრთა დიდი რიცხვი „სამხრეთ ტიროლის შესახებ ხმების გავრცელებისათვის".

* * *

**ბერლინი**, 14 მარტი (საკდესი). გერმანული ჯარების მიერ ავსტრიის ოკუპაციასთან დაკავშირებით გერმანიაში გამოქვეყნებულია ორი კანონი. პირველი კანონის თანახმად ავსტრია ცხადდება „გერმანიის იმპერიის ქვეყნად". გერმანული კანონების მოქმედება გავრცელებული იქნება ავსტრიაზე.

მეორე კანონის თანახმად ავსტრიული ჯარები უერთდებიან გერმანულ შეიარაღებულ ძალებს და წარმოადგენენ მის შემადგენელ ნაწილს.

გერმანული შეიარაღებული ძალების სარდლად ავსტრიის ტერიტორიაზე დანიშნულია გენერალი ფონ-ბეკი.

## გერმანიის არმიის რიცხვი ავსტრიაში 250 ათას კაცს აღწევს

**ლონდონი**, 14 მარტი (საკდესი). გერმანიის არმიის რიცხვი ავსტრიაში 250 ათას კაცს აღწევს. გარდა ამისა, გაზეთ „ტაიმსის" სიტყვით, ავსტრიაში გაგზავნილია დიდი რაოდენობით გერმანული პოლიცია, მოიერიშეთა რაზმები და დამცველი რაზმები („სს"). „ის ფაქტი, — სწერს გაზეთი, — რომ გერმანულ რეზერვისტებს თავის ნაწილებში იწვევენ, ეჭვებს ჰბადებს. ასეთი დიდი და ასე კარგად შეიარაღებული ძალები არტილერიით, ტანკებით, ჯავშნიანი ავტომანქანებითა და საინჟინერო ნაწილებით, როგორც სჩანს, წინასწარ დანიშნულია შემდგომი მიზნებისათვის, რომელთა ხასიათი ჯერ გამოურკვეველია". რკინიგზაზე მიუნჰენსა და ზალცბურგს შორის, როგორც „ტაიმსი" იუწყება, ხდება ჯარების დიდი გადაყვან-გადმოყვანა. სადგურებზე, აღმოსავლეთში გაგზავნის მოლოდინში, თავმოყრილია არა მარტო ბავარიის მე-7 საარმიო კორპუსის ნაწილები, არამედ ჯარები გერმანიის ყველა სხვა ნაწილიდანაც. ყველა სათადარიგო ლიანდაგზე სდგანან პლატფორმები, დატვირთული ქვემეხებით, ჯავშნიანი ავტომანქანებით, ტანკებითა და სომარი მასალით, რომელშიც შედის აგრეთვე ეკლიანი მავთული და სილით გავსილი ტომრები.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გრაცში მიფრინდა 60 გერმანული თვითმფრინავი, რომლებმაც ჩაიყვანეს იქ გერმანული საჰაერო ძალების 80 ოფიცერი და 700 ჯარისკაცი.

## კამათი ინგლისის თემთა პალატაში ავსტრიის საკითხებზე

14 მარტი (საკდესი). დღეს თემთა პალატაში დაიწყო საგარეო პოლიტიკური კამათი ავსტრიის საკითხზე. გახსნა რა კამათი, პრემიერი ჩემბერლენი შეჩერდა ავსტრიის უკანასკნელ ამბებზე და იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც სწარმოებდა გალიფაქსისა და ჩემბერლენის შორის, ერთის მხრით, და რიბენტროპის შორის — მეორეს მხრით, ავსტრიის საკითხზე. აღნიშნა რა, რომ 11 მარტს ინგლისის ელჩმა ბერლინში გადაწყვეტილი პროტესტი განაცხადა გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგ ავსტრიის მიმართ, ჩემბერლენმა წაიკითხა გერმანიის მთავრობის პასუხის ტექსტი ინგლისის პროტესტზე.

„მე, — განაცხადა შემდეგ ჩემბერლენმა, — იძულებული ვარ უარვჰყო ნეირატის მტკიცება იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობას არა აქვს უფლება დაინტერესებული იყოს ავსტრიის დამოუკიდებლობით. ინგლისის მთავრობის ინტერესები ამ საკითხში არავითარ ეჭვს არ იწვევენ. პირველი, როგორც ინგლისი, ისე ავსტრია ერთა ლიგის წევრებია და აგრეთვე გერმანიის მთავრობის თანასწორად ისინი მონაწილენი არიან ხელშეკრულებებისა, რომელშიც გარანტირებულია ავსტრიის დამოუკიდებლობა და აღნიშნულია, რომ ეს საკითხი შეიძლება იქნეს მხოლოდ ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილების ობიექტი. ჩვენ გვგონია, რომ მეთოდებმა, რომელიც გამოიყენა გერმანიამ ავსტრიის ამბების დროს, გამოიწვია ულრმესი აღშფოთების გრძნობა ყველაში, ვინც ზრუნავს მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის ევროპაში და საჭიროებს რომ მკაცრად იქნეს დაგმობილი.

მაგრამ მას, რასაც ადგილი ჰქონდა ავსტრიაში, განაცხადა შემდეგ ჩემბერლენმა, სრულებით გული არ გაუტეხია ინგლისის მთავრობისათვის იმ იმედით, რომ შესაძლებელი იქნება თავიდან ავიცილოთ არასწორი გაგება ეროვნებათა შორის და ხელი შეუწყოთ საერთაშორისო თანამშრომლობას. აღნიშნა რა შემდეგ, რომ ინგლისის მთავრობა ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ძალდატანებითი მეთოდების გამოყენების მიმართ, ჩემბერლენმა განაცხადა: „უსათუოდ ფაქტია ის გარემოება, რომ შესაძლებელი იქნებოდა გერმანიის ასეთი მოქმედებებიდან შეკავება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ და სხვა სახელმწიფოები ჩვენთან ერთად მზად იქნებოდნენ ძალის გამოყენებაზე. ინგლისის მთავრობას არ შეუძლია ასეთ ამბებს შეხვდეს განურჩევლად და გულგრილად. ეფექტი, რომელიც ამ ამბებმა უნდა გამოიწვიოს, არ შეიძლება გაზომილი იქნეს. ამის დაუყოვნებლივი შედეგი იქნება უიმედობისა და მერყეობის გრძნობის გაძლიერება ევროპაში".

„უკანასკნელ ამბებს შეაქვთ სერიოზული ცვლილებები საერთაშორისო ვითარებაში, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ კვლავ გადავსინჯოთ შეიარაღებათა პროგრამა და, როდესაც საჭირო იქნება, ჩვენ გაცნობებთ, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, ჩვენის აზრით, ამ მიმართულებით".

**ლონდონი**, 14 მარტი (საკდესი). თემთა პალატაში კამათის დროს გამოვიდა ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერი ეტლი. გერმანიის მიერ გაშიშვლებული ძალის გამოყენებამ, განაცხადა ეტლიმ, იმ დროს სწორედ, როდესაც ინგლისის მთავრობა აწარმოებს მეგობრულ საუბარს გერმანიის მთავრობასთან, როგორც სჩანს, დაანგრია მთელი ის ბანქოს ხუხულა, რომელსაც აშენებდა ჩემბერლენი.

ლიბერალმა სინკლერმა განაცხადა:

„თუ ჩვენ ვერ შევძლებთ აგრესიის წინააღმდეგ ყველა მისი პოტენციალური მსხვერპლის ძალთა შემოკრებას, მაშინ თვითეული მათგანი რიგრიგად იქნება დამარცხებული, სანამ ჩვენი რიგიც არ დადგება, და მაშინ ჩვენ უმეგობროდ დავრჩებით, სრულიად განმარტოებულნი".

შემდეგ კამათში გამოვიდა ჩერჩილი.

## ლეონ ბლიუმის სიტყვა

**პარიზი**, 14 მარტი (საკდესი). გუშინ ღამით საფრანგეთის ახალი მთავრობის მეთაურმა ლეონ ბლიუმმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც გადასცა საფრანგეთის ყველა რადიოსადგურმა. ამ სიტყვაში ბლიუმმა სხვათა შორის სთქვა:

„მე ეს-ეს არის წარვუდგინე მთავრობა რესპუბლიკის პრეზიდენტს. მომავალ ხუთშაბათს მთავრობა პალატას წარუდგება, ხოლო ამჟამად მე წარვუდგენ მას ყველა ფრანგს, რომელიც მე მისმენს. მთავრობა არ არის ისეთი, როგორიც სურდა საზოგადოებრივ აზრს, არ არის ისეთი, როგორსაც მოითხოვს ახლანდელი გარემოება. მე ეს ვიცი უკეთ, ვიდრე სხვა ვინმემ. რამდენადაც მე ვცდილობდი შემექმნა ნამდვილი ნაციონალური მთავრობა, რომელიც სახალხო ფრონტის გარშემო გააერთიანებდა ჩვენი ქვეყნის ყველა დემოკრატიულ და რესპუბლიკურ ძალებს. მე მზადა ვარ განვაახლო ეს ცდა ისეთივე დაჟინებით და ისევე გაბედულად, როგორც კი საზოგადოებრივი აზრი გასტეხს ჩემთვის გაუგებარ წინააღმდეგობას.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ძლიერი მთავრობა ვართ, რამდენადაც წარმოვადგენთ ჩვენი ქვეყნის უმრავლესობას, ე. ი. წარმოვადგენთ სახალხო კენჭისყრით გამოხატულ ნება-სურვილს.

ჩვენ ისტორიის საშიშ პერიოდში ვცხოვრობთ, მაგრამ იმ მდგომარეობას, რომელშიაც საფრანგეთი იმყოფება, გულდამშვიდებული მზადყოფნით ვაფასებთ".

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში ახლად ჩარიცხულთა ერთი ნაწილი (მარცხნიდან მარჯვნივ): კოლია ჟოგინი, ოთარ ბუაჩიძე, ივეტა გრიგორიანი, გარი ახმედოვი, ედგარ დავლიანიძე, ლევ ვლასენკო და გივი ციციშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## ახუნდოვის გარდაცვალების 60 წლისთავი

**ბაქო**, 13 მარტი (საკდესი). რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს აზერბაიჯანის უდიდესი მწერლის, ფილოსოფოსისა და საზოგადო მოღვაწის, აზერბაიჯანის თეატრისა და დრამატურგიის ფუძემდებლის მირზა ფეთხ-ალი ახუნდოვის გარდაცვალების 60 წლისთავს.

თავის მხატვრულ და ფილოსოფიურ ნაწარმოებებში ახუნდოვი გამოდიოდა ფეოდალური დესპოტიზმის წინააღმდეგ, ებრძოდა უმეცრებას, ველურ ჩვეულებებს, ისლამის ბნელეთისმოციქულობასა და ფანატიზმს. ის იყო მგზნებარე მებრძოლი ქალის განთავისუფლებისათვის. პუშკინის სიკვდილის გამო დაწერილ პოემაში ახუნდოვმა პროტესტის მრისხანე ხმა აღიმაღლა ნიკოლოზ პირველის ტირანიის წინააღმდეგ.

პოპულარულმა კომედიებმა „ჰაჯი ყარამ", „მულა იბრაჰიმ ჰალილმა—ფილოსოფიური ქვის პატრონმა" და სხვებმა ახუნდოვს „აზერბაიჯანის მოლიერის" სახელი მოუხვეჭეს. მისი კომედიები სცენაზე პირველად 1853 წელს დაიდგა თბილისში რუსულ ენაზე.

ახუნდოვი აზერბაიჯანის ახალი ანბანის პიონერი იყო; მან შეიმუშავა არაბული ასოების ლათინურითა და რუსულით შეცვლის პროექტი.

## ახალი დანიშვნა

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სათეატრო განყოფილების უფროსად დაინიშნა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ქ. ანთაძე.

## ქრონიკა

გუშინ, 1938 წ. 15 მარტს სისრულეში იქნა მოყვანილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1938 წ. 13 მარტის განაჩენი ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საქმეზე მსჯავრდადებულთა — ნ. ი. ბუხარინის, ა. ი. რიკოვის, გ. გ. იაგოდას, ნ. ნ. კრესტინსკის, ა. პ. როზენგოლცის, ვ. ი. ივანოვის, მ. ა. ჩერნოვის, გ. თ. გრინკოს, ი. ა. ზელენსკის, ა. იკრამოვის, ფ. ხოჯაევის, ვ. თ. შარანგოვიჩის, პ. ტ. ზუბარევის, პ. პ. ბულანოვის, ლ. გ. ლევინის, ი. ნ. კაზაკოვის, ვ. ა. მაქსიმოვ-დიკოვსკის, პ. პ. კრიუჩკოვის დახვრეტის შესახებ.

## ნორჩი მუსიკოსები

თბილისის კონსერვატორიასთან 1935 წელს ჩამოყალიბებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში ამჟამად ირიცხება 67 მოსწავლე, მათ შორის 47 პიანისტი, 8 ვიოლინისტი, 6 ვიოლონჩელისტი, 5 კომპოზიტორი და 1 დირიჟორი 7-დან 14 წლამდე ასაკისა. 1935 წლის პირველი შეკრებიდან კონსერვატორიის პირველ კურსზე გადაყვანილია ოთხი მოსწავლე.

10 და 11 მარტს კონსერვატორიაში შესდგა კონკურსი ბავშვთა ახალი ჯგუფის მისაღებად. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 52 ბავშვმა, აქედან ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში ჩარიცხულ იქნა 22, მათ შორის ხუთმა ფრიადზე ჩააბარა გამოცდა. ესენია: ედგარ დავლიანიძე, ოთარ ბუაჩიძე, ლევ ვლასენკო, გარი ახმედოვი და ივეტა გრიგორიანი.

ამათ გარდა მიღებული არიან: რობერტ ცინცაძე, ნიკ. ჟოგინი, მაგნოლია ეგიაზაროვი, გივი ციციშვილი, გაიანე ხიმშიაშვილი, მარიამ მურადოვა, ეველიანე ქეჟიანი, ელენე კორსაველი, ელენე დოლიძე, ლეილა ჯიმშელეიშვილი, ნუნუ ლეჟავა, ირინე ვოლკოვა, დინარა პოლოსიანი, მაია მერისმონდი, ნათელა კენჭიაშვილი, ირაიდა ამირეჯიბი, ლილი ვართანოვი.

განზრახულია შემოდგომაზე თბილისის კონსერვატორიასთან გაიხსნას მუსიკალური სკოლა — ათწლედი, რომელშიც შევლენ მიმდინარე სამოსწავლო წელს კონსერვატორიასთან გახსნილი მუსიკალური სასწავლებლის, მასთანვე არსებული საცდელი სკოლისა და აგრეთვე ბავშვთა ჯგუფის მოსწავლენი.

* * *

18 მარტს, დღის 12 საათზე, კონსერვატორიის დარბაზში შესდგება კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის მოსწავლეთა კონცერტი.

მონაწილეობენ პროფესორების აისბერგის, ვირსალაძის, მინიარის, თულაშვილისა და დოც. შიუკაშვილის კლასის მოწაფენი.

## ცირკში

წლიდან წლამდე აუმჯობესებს თავის მუშაობას თბილისის სახელმწიფო ცირკი. ეს მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იქნებოდა, რომ სამისო შესაძლებლობას იძლეოდეს ცირკის არსებული შენობა. ბინის სივიწროვის გამო ცირკს არა აქვს საშუალება მიიღოს ატრაქციონები რთული აპარატურით, შესაფერი მომსახურება გაუწიოს მაყურებელს. ეს აუცილებელს ხდის დაჩქარდეს ახალი ცირკის მშენებლობა.

სეზონის გახსნიდან დღემდე თბილისის ცირკში ბევრმა საინტერესო ატრაქციონმა გაიარა. ასეთები იყვნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ძმ. ტანტები სადღეისო რეპერტუარით, გაწვრთნილი დათვების ჯგუფი ეკლერის ხელმძღვანელობით, ჯამბაზთა ჯგუფი სიმადოებისა, სატირიკოსი იგორ იუჟინი, მხატვრული აკრობატიკის ჯგუფი კონოპლიოვის ხელმძღვანელობით.

სპეციალური პროგრამები მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავს, საბჭოთა საქართველოს 17 წლისთავს.

მარტის დამლევიდან დაიწყება ჯამბაზთა ჯგუფის დონატოს გამოსვლები, აპრილის დამდეგს ჩამოვლენ სატირიკოსი ვრონსკი, ჟონგლიორები შირაი და სხვ. სეზონის ბოლოს თბილისის ცირკი საბჭოთა კავშირის ყველა ცირკთან ერთად იდღესასწაულებს საბჭოთა ცირკის 20 წლისთავს.

ცირკი თანდათან აუმჯობესებს თავისი პროგრამების ხარისხს, მაგრამ ნაკლი მის მუშაობაში ჯერ კიდევ საგრძნობია. მთავარი ნაკლია სალაპარაკო ჟანრის სიმცირე, თითქმის სრულიად არ არის წარმოდგენილი პროგრამებში კლოუნადა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

13 მარტიდან ცირკში დაიწყო ფრანგული პროფესიული ჭიდაობის მატჩები არბიტრის ა. კორნელის ხელმძღვანელობით. ჯერჯერობით სამატჩო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ შემდეგი მოჭიდავე-პროფესიონალები: პ. ზაგორუიკო, ვილი ბური, დ. პასუნკო, ტაივონენი, ი. კრავჩენკო, ვ. შევჩუკი,

გაწვრთნილი დათვი ველოსიპედზე.

ვ. ბოროვსკი, ა. ტიტოვი, ნ. ბელოვი, ი. სპული, რ. ნორკინი, ს. პუგაჩოვი, ნ. მიხალენკო, ვ. კორშუნოვი, კოჟემიაკა, კასპეროვიჩი, კინედი.

* * *

4 აპრილს იხსნება სეზონი ბათუმის ცირკში. ბათუმს არტისტული ძალებით მომსახურებას გაუწევს თბილისის ცირკი.

## ლექციები მასწავლებლებისათვის

სახალხო განათლების კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში (პლეხანოვის პროსპ. № 178) 17 მარტს, საღამოს 8 საათზე, ეწყობა ლექციები ლიტერატურისა და ქიმიის მასწავლებლებისათვის. თემა:

ქიმიის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში — მომხს. პროფ. ი. მოსეშვილი.

პოეტიკიდან: ჟანრების საკითხი—მომხს. მიხ. აბრამიშვილი.

## [illegible]

## „ოქროს ვერძი"

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული კულტურის თეატრმა მოამზადა და დღეს, 16 მარტს, მაყურებელს უჩვენებს თავის მორიგ პრემიერას — გ. ბერძენიშვილის პიესას „ოქროს ვერძი".

პიესის თემაა მალარია და მასთან ბრძოლა კოლხიდაში ჭაობების დაშრობის ნიადაგზე.

„ოქროს ვერძს" სდგამს თეატრის ხელმძღვანელი რესპ. დამს. არტისტი ვ. ნინიძე. მხატვარი დ. კვირიკაშვილი, მუსიკა ვ. შავერზაშვილისა.

## „შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის"

2 მარტიდან მოსკოვში ერთდროულად თერთმეტ კინოთეატრში უჩვენებენ ახალ ხმოვან ფილმს „შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის", კინო-კომპოზიცია გიორგი ბლიუმისა და პავლე მარტიანოვისა, მუსიკალური მონტაჟი კომპოზიტორ ვანო მურადელისა, გრავიურები მხატვრების ირაკლი თოიძისა და ს. ქობულაძისა.

სურათში ჩართულია ფრაგმენტები ქ. მიქაბერიძის ფილმიდან „ქაჯეთი".

სურათი გადაღებული და გამოშვებულია „როსსნაბფილმის" მოსკოვის საოლქო კანტორის მიერ.

## პარტკალენდარი

### ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

### 16 მარტს.

**საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომისა და რუსეთის თებერვლის მეორე რევოლუციის პერიოდში (1914 წ. მარტი—1917 წელი). კონსულტანტი ქართულ ენაზე—ამხ. ჩ. სიმონიშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**აგიტაციის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: პარიზის კომუნის 67 წლისთავი. კონსულტანტები — ქართულ ენაზე ამხ. ბოჟაძე, რუსულ ენაზე—ამხ. დაისი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**ალკკ კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: კ. მარქსი—მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. სიფრაშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

16 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის აგიტატორებისათვის რუსულ ენაზე შესდგება მოხსენება. თემა: დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. მომხსენებელი ამხ. ციმაკურიძე.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს აკაკი დავითის-ძე გვინჯილიას, ზაქარია ეფრემის-ძე გაჩეჩილაძეს, გიორგი აბრამის-ძე ჩაჩარაშვილს, აშოტ გრიგოლის-ძე ცატუროვ-სტალსკის, დავით აბრამის-ძე სულხანიშვილს, შალვა ლავროსის-ძე კობიძეს, ვახტანგ სიმონის-ძე კორბესაძეს, ქრისტეფორე ანანოვს, ზაქარია სიმონიშვილსა და ალექსანდრე გრიგოლის-ძე გაბიანს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩიხლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. სერგო მიხეილის-ძე ლაითაძეს, ალექსანდრე ეგორის-ძე ბალუაშვილს, ვლადიმერ დანიელის-ძე კეკელიძეს, სოფიო თევდორესასულ ცაბოლოვას, ერემია მოსეს-ძე საკალიძეს, ნიკოლოზ სიმონის-ძე წიკლაურს, მამია ვარდენის-ძე ლომინაშვილსა და გ. ბ. ჰელიძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. მურცხვალაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს შალვა პავლეს-ძე თელიას სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. დოლიძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს გიორგი სიმონის-ძე საგინაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. დაისთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

16 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება პროფესორ ათაბეკოვის მოხსენება თემაზე: ჩრდილოეთის პოლუსისათვის ბრძოლა და პაპანინელთა გმირული ეპოპეა.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს აკაკი ივანეს-ძე ნაცვლიშვილს, აკაკი ანდრიას-ძე აფაქიძეს, კონსტანტინე გიორგის-ძე ყურაშვილს და ნიკოლოზ მიხეილის-ძე ნუკრაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. კვეკვესკირთან (ძერჟინსკის ქ. №8, 1-ლი სართული, ოთახი № 5).

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ეფრემ გიორგის-ძე ცხვედიანს და ვიქტორ ბებურის-ძე კოტრიკაძეს (ქუთაისი) გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. შავიშვილთან (ძერჟინსკის ქ. №8, ოთახი № 7).

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

| | |
|---|---|
| 15/III წარმ. № 123 | შური |
| 16/III წარმ. № 124 | ნაპერწკლიდან |
| 17/III წარმ. № 125 | შური |
| 18/III წარმ. № 126 | სამანიშვილის დედინაცვალი |

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12-დან საღ. 9 საათ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

| | |
|---|---|
| 16/III | წარმ. № 124<br>არსენა |
| 17/III | წარმ. № 125<br>ნაპერწკლიდან |
| 18/III | წარმ. № 126.<br>გმირთა თაობა |

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

| | |
|---|---|
| ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135 | ახალი ხმოვანი ფილმი<br>კატერინა<br>სეანსები: 6, 7-40, 9-20, 11 |
| დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 | ახალი ხმოვანი ფილმი<br>კატერინა<br>სეანსები: 6-30, 8-30, 10-30 |
| კომკავშირელი<br>რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 | ახალი ხმოვანი ფილმი<br>ხვალ თუ ომი იქნა<br>სეანსები: 6-30, 8, 9-30, 11 |
| სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23 | ხმოვ. ფილმი (კინო ოპ.)<br>ზაპოროჟელი დუნაის გაღმა<br>დასაწყ. 6-30 |
| 26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი. | ხმოვ. ფილმი<br>„უჩინარი ადამიანი"<br>დასაწყ. 6-30 |
| არსენა კომუნალური ქ. № 9 | ხმოვ. ფილმი<br>„არსენა"<br>დასაწყ. 6-30 |
| ახალი ამბები | ფერადი ხმოვანი ფილმი<br>„მებადურის და თევზის ზღაპარი"<br>დასაწყ. 6-30 |

თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

| | |
|---|---|
| 16/III | მუდმ. ადგ. ტალ. № 134<br>ერთდრ. ბილეთის სერია № 1<br>აბესალომ და ეთერი |
| 17/III | მუდმ. ადგ. ტალ. № 135<br>დაისი |
| 18/III | დილით<br>ერთდრ. ტალ. № 3<br>აბესალომ და ეთერი<br>დასაწყ. 12 ს. |

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების
გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში.

სახცირკი. ტელ. 3-11-44

დღეს, 16 მარტს

საცირკო წარმოდგენა

მონაწილეობს მთელი დასი
აგრეთვე ფრანგული პროფესიული
ჭიდაობის მე-4 დღე
ჭიდაობს 3 წყვილი:
1-ლი პეტრე ზაგორუიკო—ვ. შევჩუკი
მე-2—ვილი ბური—ა. ტიტოვი
მე-3—ი. სპული—დ. პასუნკო
წარმოდგ. დასაწყ. საღ. 8-30 წ.,
ჭიდაობისა—10 ს.

18 მარტს — წარმოდგენა დღისით.
დასაწყ. დღის 2 ს.

ესტრადის თეატრი

პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29

16 და 17 მარტს ტალონი № 71, 72

ოპერეტის ოსტატთა ლენინგრადის ანსამბლის გასტროლები
ზ. მ. ბრონსკაია, მ. დ. ძსენძოვსკი, ა. ვ. კოროლკევიჩი,
ს. ი. რუტკოვსკი. ო. ვ. ვარლამოვა, ე. ე. ნაზარიანი

I. ოთხი შეხვედრა
ოპერეტა 1 მოქმ.

II. მექსიკელი ქალის გული
ოპერეტა 1 მოქმ.

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 9 ს.

ვისაც მუდმივი ადგილების შესატანები გადახდილი არა აქვს, სპექტაკლებზე არ დაიშვება.

### საქ. ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი აცხადებს

კონკურსს რენტგენოლოგიური კათედრის გამგის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

1. ავტობიოგრაფია.
2. მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
3. ცნობა სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის შესახებ.
4. სამეცნიერო შრომები
5. რეცენზიები ამ შრომების შესახებ, თუ ასეთები მოიპოვება.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის კანცელარიაში (ლუნაჩარსკის ქ., 12) ა/წ. 10 აპრილამდე.

1052 დირექცია.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა მხცოვანი მწერალი

**დუტუ მეგრელი**

პანაშვიდი 16, 17 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე, ქალაქის მე-2 საავადმყოფოში, კამოს ქ. № 103. დაკრძალვა 18 მარტს ვაკეში მწერალთა ახალ პანთეონში.

№ 17727

მეუღლე ანასტასია, შვილები: თამარ, მარიამ, ელენე, გიორგი, სიძე მიხეილ ცაგურია და შვილიშვილი ედიშერი იუწყებიან ძვირფასი

**დიმიტრი თომას-ძე ხოშტარიას (დუტუ მეგრელის)**

გარდაცვალებას: პანაშვიდი 16 მარტს, საღამოს 7 საათზე. ქალაქის მე-2 თერაპევ. საავადმყოფო. კამოს ქ. №103. დაკრძალვა 18-ს.

№ 17727

### თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს

რომ ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიაში შესდგება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად

**დისერტაციის საჯარო დაცვა**

27 მარტს, დღის 2 საათზე სოცჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის, 12) შინაგან სნეულებათა პროპ. თერაპ. კლინიკის ასისტენტი ექ. **გიორგი პორფილეს ძე ადამია** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„ნაღვლის მჟავების, ხოლესტერინის და ბილურუბინის რაოდენობის ცვალებადობის საკითხისათვის ნაღვლის სხვადასხვა პორციებში ქრონიკული ანგიოხოლეცისტოპათიების დროს".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **შ. მიქელაძე** და პროფ. **ნ. ყიფშიძე.**

იქვე ბავშვთა ქირურგიის კათედრის ასისტენტი ექ. **სერგო ბარქაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„აპენდიციტები ბავშვთა ასაკში".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **მ. კოკოჩაშვილი** და დოც. **ი. ტატიშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში (ლუნაჩარსკის ქ., № 12 ოთ. 4) სწავლულ მდივანთან, დოცენტ ვლადიმერ გიორგაძესთან.

1051 თბილისის სახ. მედინსტიტუტის საბჭო.

### თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს

კონკურსს სოციალური ჰიგიენის კათედრის გამგის თანამდებობაზე.

მსურველებმა ერთი თვის ვადაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა უნდა შემოიტანონ სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის სამდივნოში განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, ავტობიოგრაფია, ცნობა სამედიცინო ხარისხში და წოდებაში დამტკიცების შესახებ, შრომების სია და თვით შრომები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეულ სპეციალისტების დახასიათება.

მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის ქუჩა, № 12. სამედიცინო ინსტიტუტი.

1054 დირექცია.

### საქართველოს ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დაუსწრებელი სექტორი

აცხადებს ყოფილ სტუდენტთა საყურადღებოდ რომ ამჟამად სწარმოებს ფინანსიური დავალიანების, ხანგრძლივი მივლინებისა ან ავადმყოფობის გამო გარიცხულ სტუდენტთა აღდგენა, თუ გარიცხვის შემდეგ გასულია არაუმეტეს სამი წლისა.

მისამართი: თბილისი, სასწავლო შესახ. № 2/4. 1050 2—2

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის სტ., ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 1461